900

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი 7 იანვარი 1941 წ. № 5 (6010) ფასი 10 კაპ.

ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდა ახალ სასწავლებლებსა და სკოლებში

[illegible]

პარტია და მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მომავალი მუშების პოლიტიკურ აღზრდას. ერთერთ მთავარ ამოცანად ისმება ახალ სასწავლებლებსა და სკო- [illegible] რების შემდგომ ზრდას, ასწევს პროდუქციის ხარისხს, კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და სამხედრო ძლიერებას.

საკდესი უარჰყოფს

უცხოეთის პრესაში ვრცელდება ცნობა, თითქოს განზრახულია რუმინეთში სსრკ სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. ლავრენტიევის გაწვევა ბუქარესტიდან.

საკდესს დავალებული აქვს უარჰყოს ეს ცნობა, როგორც მოჭორილი.

1940 წლის საწარმოო დავალებანი გადამეტებით არის შესრულებული

„საქთამბაქონედლეულმა" სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მეთამბაქოობის მთავარი სამმართველოს მიერ 1940 წლისათვის დაწესებული საწარმოო დავალებანი გადაჭარბებით შეასრულა.

1940 კალენდარული წლის თამ- [illegible] თვალისწინებული 16.000 ტონისა, — გეგმა შესრულებულია 110,9 პროცენტით.

უცვლელ ფასებში გამოშვებულია 22.763.000 მანეთის პროდუქცია, ნაცვლად 20.749.000-სა, გეგმა შესრულებულაა 109,7 პროცენტით.

[illegible]

დ. კონცედალოვის შესანიშნავი რეკორდი

სერგო, 4 იანვარი (საკდესი). დღეს ჩვენი ქვეყნის წარჩინებულმა მაღაროელმა, დიმიტრი კონცედალოვმა შესანიშნავი რეკორ- [illegible]

[illegible] მეტინგზე გამოვიდნენ ალექსი სტახანოვი და კონსტანტინე პეტროვი, რომლებიც სტუმრად იყვნენ თავიანთ მეზობლებთან. მათ მოუწოდეს ირმინოელთა კოლექტივს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ შეჯიბრება პარტკონფერენციის აღსანიშნავად.

„უკრაინის ისტორიის მოკლე კურსი"

კიევი, 4 იანვარი (საკდესი). დაიბეჭდა და გამოვიდა „უკრაინის ისტორიის მოკლე კურსი", რომელიც უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის უკრაინის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა შეადგინა.

ეს ნაშრომი წარმოადგენს იმის პირველ ცდას, რომ სისტემატიზებულად და მოკლედ იქნას გადმოცემული უკრაინის ისტორია, უძველესი დროიდან დაწყებული დღემდე.

უკრაინელი ხალხის ისტორია გადმოცემულია სსრ კავშირის ხალხთა ისტორიასთან, კლასობრივი ბრძოლისა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში.

წიგნი განკუთვნილია საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეებისათვის. წიგნი გამოცემულია უკრაინულ ენაზე და კარგად არის ილუსტრირებული.

კრებული „ბოლშევიკური პრესა"

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პოლიტგამომცემლობამ გამოსცა მასალების კრებული „ბოლშევიკური პრესა", რომელშიაც მოთავსებულია ლენინისა და სტალინის ძირითადი სტატიები და მათი აზრი პრესის შესახებ, მათ მიერ პარტიული გაზეთებისათვის მიცემული უმნიშვნელოვანესი დირექტივები. კრებულში შეტანილია აგრეთვე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ცალკეული სტატიები და სიტყვები.

კრებულში მოთავსებული მასალები აშუქებენ ბოლშევიკური პრესის განვითარების ძირითად ეტაპებს. შესავალი განყოფილება მიძღვნილია რუსეთში მუშათა პრესის მომზადებისა და წარმოშობისადმი. წიგნის საბოლოო ნაწილში მოცემულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა აზრი „ახალი რაინის გაზეთის" შესახებ, პრესის ენისა და ტექნიკის შესახებ. (საკდესი).

საარჩევნო კამპანიის გადამწყვეტი დღეები

კაუნასი, 4 იანვარი (საკდესი). გუშინ შესდგა საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა, ლიტვის კ. პ. (ბ) საქალაქო და სამაზრო კომიტეტების მდივანთა და საქალაქო და სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრება.

ლიტვის კ. პ. (ბ) მდივანმა ამხ. პრეიქშასმა მოხსენება გააკეთა რესპუბლიკაში საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. მან ილაპარაკა ლიტველი ხალხის პოლიტიკური აქტივობის უმაგალითო ზრდაზე, კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატთა უდიდეს პოპულარობაზე.

○

რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები ირთვებიან, შენობებზე გამოკიდებულია წითელი ბაირაღები. ყველგან არის კანდიდატთა პორტრეტები და ფურცლები, რომლებიც მათ ბიოგრაფიებს შეიცავენ. საუბნო საარჩევნო კომისიებმა უკვე დაიწყეს უწყებათა დაგზავნა ამომრჩევლებისათვის, რათა არჩევნებზე მოვიდნენ 12 იანვარს.

ყველგან დიდი გაცხოველებაა. ვილნიუსის სასოფლო-საარჩევნო ოლქში 940 აგიტატორი საუბარს ატარებს ამომრჩეველთა ბინებში. ვილნიუსში მეცადინეობს სტალინური კონსტიტუციისა და საარჩევნო დებულების შემსწავლელი ასობით წრე. ქალ. შულიაიში აგიტატორები სისტემატურად იკრიბებიან, რათა ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი მუშაობის გამოცდილება.

ბევრ საარჩევნო უბანში ყველა ამომრჩეველმა უკვე შეამოწმა სიებში მათი შეტანის სისწორე.

ლიტვის სსრ მთავრობის გადაწყვეტილება

კაუნასი, 4 იანვარი (საკდესი). ლიტვის სსრ მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო, რათა საგლეხო მეურნეობანი განთავისუფლებულ იქნან იმ გამოსასყიდ გადასახდელთა ყველა ვალისაგან, რომლებიც დაკავშირებულია ლიტვის ბურჟუაზიული მთავრობის მიერ ერთ დროს გატარებულ „აგრარულ რეფორმასთან". მშრომელ გლეხთა მეურნეობანი და სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომელთაც 5 ჰექტარამდე მიწა ჰქონდათ, განთავისუფლებული არიან 1940 წლის ყველა გადასახადისა და გამოსაღებისაგან.

სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურა

სახლიტგამის სარედაქციო საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის გამოცემის გეგმა. წელს გამოიცემა ნაციონალური რესპუბლიკების კლასიკოსთა 23 სახელწოდების ნაწარმოები და თანამედროვე მწერალთა 37 სახელწოდების ნაწარმოები. ივანე ფრანკოს თხზულებათა სამტომიანი კრებულიდან, რაც გამოსაცემად მზადდება, გამოვა ორი ტომი. გამოდის დიდი პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის რჩეულ ნაწარმოებთა წიგნი; მზადდება მის თხზულებათა ოთხტომიანი კრებულის გამოცემა. საბჭოთა მკითხველები მიიღებენ ლესი უკრაინკის რჩეულ ნაწარმოებთ, ჯამბულის ლექსთა ერთტომეულს, მარკო ვოვჩკას უკრაინულ მოთხრობებს, თარგმნილს ი. ს. ტურგენევის მიერ.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის გამოვა აფხაზური პოეზიის კრებული; განზრახულია რამდენიმე წიგნის გამოცემა ნიზამი განჯელისა და ალიშერ ნავოის იუბილესათვის; მზადდება ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა — ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა ფშაველას საიუბილეო გამოცემები. გამოდის აზერბაიჯანელი პოეტის, ალეკპერ საბირის სატირები, თურქმენი კლასიკოსის, მახტუმ-ყულის რჩეული ლექსები, „ვენიამინ III მოგზაურობა" მენდელ მოიხერსფორიმისა, ბელორუსული და ქართული პოეზიის ანთოლოგიები, ცნობილი სომეხი პოეტის, ავეტიკ ისააკიანის ნაწარმოებთა ერთტომეული.

ფრიად საინტერესოა „უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქების ებრაელი პოეტების ნაწარმოებთა" კრებული, „ლიტვური ზღაპრები" შედგენილი პეტრას ცვირკას მიერ და ილუსტრირებული მ. ჩერემნიხის მიერ. გამოვა ვ. ლაცისის რომანი „მებადურის შვილი", ლატვიურიდან თარგმნილი; გამოდის ვანდა ვასილევსკაიას მოთხრობათა კრებული, მხცოვანი ოსი მწერლის, არსენ კოცოევის „ოსური მოთხრობები". მზადდება გამოსაცემად უკრაინელი მწერლის, ვ. სტეფანიკის ნოველები „ნეკერჩხლის ფოთლები", ნ. ლიაშკოს მიერ თარგმნილი.

სულ წელს გამოვა 23 ეროვნების მწერალთა ნაწარმოებნი. (საკდესი).

მოკლეტალღოსანთა ვარსკვლავური ესტაფეტი

სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების რადისტთა მოკლეტალღიანი ესტაფეტის მოწყობის შესახებ. დამტკიცებულია მსაჯთა მთავარი კოლეგია საბჭოთა კავშირის გმირის, ამხ. ე. თ. კრენკელის თავმჯდომარეობით. საკდესის თანამშრომელთა საუბრის დროს ამხ. კრენკელმა განაცხადა:

— მომავალ ესტაფეტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თავდაცვა-ავიაქიმის ინდივიდუალურ და კოლექტიურ მოკლეტალღიან რადიოსადგურებს. რადიოსატელეგრაფო ცნობების მიღება იწარმოებს მოსკოვში შეჯიბრების მონაწილე სადგურებში. გადაცემა უნდა ხდებოდეს რვა მიმართულებით — განაპირა პუნქტების რაციებიდან, რომლებიც მდებარეობენ არხანგელსკში, სვერდლოვსკში, ტაშკენტში, ბათუმში, ვოროშილოვგრადში, ოდესაში, მინსკსა და ლენინგრადში. საშუალედო რადიოსადგურები, მიიღებენ რა ტექსტს და შემდეგ გადასცემენ მას მოსკოვს, ახალ სიტყვებს დაუმატებენ რადიოცნობას. მოკლეტალღოსანი რადისტები ერთმანეთს შეეჯიბრებიან გადაცემისა და მიღების სისწრაფეში.

ვარსკვლავურ ესტაფეტში გამარჯვებულნი მიიღებენ ფასიან ჯილდოებს და სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს სიგელებს.

ესტაფეტი დაიწყება 2 თებერვალს 12 საათზე მოსკოვის დროით და დამთავრდება 12 საათსა და 35 წუთზე. (საკდესი).

ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციას

უდიდესი აღფრთოვანებით

კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის მოწვევის შესახებ.

საამქროებსა და ბრიგადებში გაჩაღდა კონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება, რის შედეგადაც ქარხანამ 1940 წლის მეოთხე კვარტალის საწარმოო გეგმა 105 პროცენტით შეასრულა.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 20 თებერვლისათვის შეასრულოს 1941 წლის იანვრისა და თებერვლის საწარმოო გეგმა, გეგმის გადამეტებით გამოუშვას 100 ათასი მანეთის პროდუქცია. ქარხნის კოლექტივმა ვალად იდო აგრეთვე გეგმის გადამეტებით გაადიდოს 5 პროცენტით შრომის ნაყოფიერება და მკვეთრად გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი.

მექანიკური საამქროს სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. ბაბაიანმა იკისრა იანვრისა და თებერვლის საწარმოო გეგმის 200 პროცენტით შესრულება. ზეინკალმა გაბაშვილმა პირობა დასდო 210 პროცენტით შეასრულოს იანვრისა და თებერვლის საწარმოო დავალება, ხოლო საწოლების ამწყობმა სტახანოველმა მელიქიანმა ვალდებულება იკისრა 250 პროცენტით შეასრულოს იანვრისა და თებერვლის გეგმა. (საქდესი).

ახალი ვალდებულებები იკისრეს

თბილისის სპილენძის სატყეც ქარხანაში ფართოდ გაიშალა საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა კონფერენციის გახსნის დღისათვის — 15 თებერვლისათვის შეასრულოს 1941 წლის იანვრისა და თებერვლის საწარმოო გეგმა.

ტექნიკური საამქროს ბრიგადამ, რომლის უფროსია ამხ. პ. სუსლიკოვი, ვალად იდო მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით შეასრულოს მიმდინარე წლის იანვრისა და თებერვლის გეგმა 10 თებერვლისათვის და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია საპარატო საამქროს ბრიგადა, რომელსაც ამხ. კულინკინი ხელმძღვანელობს. სადნობ-საგლინავი საამქროს უფროსმა, ამხ. ს. მაჩაიძემ პირობა დასდო 20 დღით ადრე შეასრულოს მაღალი ხარისხით 1941 წლის იანვრისა და თებერვლის საწარმოო გეგმა. (საქდესი).

მევაგონეებმა პირველობა მოიპოვეს

ამიერკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის მევაგონეებმა შესანიშნავი წარმატება მოიპოვეს საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის ღირსეულად შეხვედრისათვის ბრძო- [illegible] დეკემბრის გეგმა. კაპიტალური რემონტის დეკემბრის დავალება გზამ შეასრულა 125 პროცენტით, ხოლო კონფერენციის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება—15 პროცენტის გადამეტებით. 401,76 პროცენტით არის შესრულებული ვაგონების ახლად გადახურვის გეგმა. მიმდინარე რემონტში მყოფი ვაგონების ნაშთი ნორმაზე ნაკლებია და სხვ.

წარმატებით აღფრთოვანებული სავაგონო უბნების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები [illegible] კისრულობენ განამტკიცონ დეკემბრის წარმატება, უკეთესად იმუშაონ, სრულიად აღმოფხვრან ბუქსის წვისა და წუნის შემთხვევები, უფრო ენერგიულად იბრძოლონ სალი ვაგონისათვის. (საქდესი).

სტახანოველების კონკრეტული ვალდებულებანი

თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატის ძაფსართავი ფაბრიკის საამქროებსა და ბრიგადებში ახალი ძალით გაიშალა XVIII სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება.

ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა, რომ გეგმას გადამეტებით გამოუშვებდა 170 ტონა ნართს. 31 დეკემბრისათვის ეს ვალდებულება განაღდებული იყო.

— მე აქამდე 5 დაზგის ნაცვლად 8 დაზგას ვემსახურებოდი, ახლა ვალდებულებას ვკისრულობ 10 დაზგას მოვემსახურო და 115 პროც. შევასრულო პირველი კვარტალის გეგმა, — განაცხადა სტახანოველმა ლიზა ალექსენკომ.

სართავი საამქროს მუშებმა ერთსულოვნად მოიწონეს ცვლის ოსტატის ამხ. სტეფანე კუზმიჩოვის წინადადება იმის შესახებ, რომ საამქროს კოლექტივმა 1941 წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება 115 პროც. გაანაღდოს. ამხ. კუზმიჩოვმა ვალდებულება იკისრა აგრეთვე, რომ მოამზადებს პირველი საფეხურის 10 ვოროშილოვისებურ მსროლელს, რემედასისა და წითელი ჯვრის საზოგადოების წევრებად გახდის თავისი ცვლის ყველა მუშას და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მოსამზადებელი საამქროს ოსტატი ამხ. ტიტირაშვილი.

საამქროს მრავალდაზგოსანმა სტახანოველებმა — ანა ლუგოვსკაიამ, კლავდია უგოლნიკოვამ და მარიამ ბარვინოვამ ვალად იდეს 115 პროც. შეასრულონ იანვრისა და თებერვლის 15 დღის გეგმა. (საქდესი).

ინდუსტრიული ქუთაისის საწარმოთა ვალდებულებანი

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის საწარმოთა უმრავლესობა ჩაება საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ქუთაისის ვ. მ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატში საქსოვმა საამქრომ (უფროსი — [illegible]

სავრეხ-მოსამზადებელი საამქროს მუშებმა და სპეციალისტებმა თავიანთ ვალდებულებად ჩასწერეს, რომ ახალი სამეურნეო წლის პირველი ორი თვის გეგმა XVIII პარტკონფერენციის გახსნის დღეს —15 თებერვალს შეასრულებენ.

[illegible] 1941 წელს, [illegible] იანვარ-თებერვლის საწარმოო დავალება შეასრულოს ვადამდე 5 დღით ადრე, 5 პროცენტით შეამციროს მესამე ხარისხის ქსოვილის გამოშვება, ხოლო 0,2 პროცენტით — ნახევრო. საამქროს მუშებმა და სპეციალისტებმა პირობა დასდეს დაუყოვნებლივ, სასწრაფოდ აითვისონ საქსოვი წარმოების ახალი ტექნოლოგიური რეჟიმი და მიაღწიონ მრავალდაზგოსანთა რიცხვის 2,5 პროცენტით ზრდას.

კომბინატის ძაფსაღები საამქროს მუშაკთა კოლექტივი, რომელსაც სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ფრიადოსნის ნიშნით დაჯილდოებული ამხ. შ. ყუფარაძე ხელმძღვანელობს, ჩაება XVIII პარტკონფერენციის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში სამტრედიის ძაფსაღებ ფაბრიკასთან. შეჯიბრების პირობად წამოყენებულია: შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმის გადამეტებით შესრულება არანაკლებ 20 პროცენტისა, იანვარ-თებერვლის საწარმოო დავალების 7 დღით ადრე განაღდება და ნედლი მასალის 5 პროცენტით დაზოგვა.

[illegible] გვარაძე და სხვ. რომლებიც ჩაბმული არიან შეჯიბრებაში, წარმატებით შეუდგნენ ბრძოლას აღებული ვალდებულებების შესრულებისათვის. საორთქლმავლო დეპომ (უფროსი ამხ. შ. შენგელია) შეჯიბრებაში გამოიწვია შორაპნის საორთქლმავლო დეპო და იკისრა 120 და მეტი პროცენტით შეასრულოს საწარმოო დავალება. დეპოს სამჭედლო საამქრო 15 დღით ადრე გაანაღდებს იანვარ-თებერვლის მთელ დავალებას. სადგურის მუშაკებმა იკისრეს ვალდებულება მტკიცედ დაიცვან მატარებლის მიმოსვლის გრაფიკი, ურყევად გაატარონ სტალინური სახკომის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანება № 319—ც.

XVIII სრულიად - საკავშირო პარტკონფერენციის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხნის, მაუდისა და ჯიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკების, ტყავთასაცმლის კომბინატის, შუშის ქარხნისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

ვალდებულება შეასრულეს

წითელწყარო („კომუნისტის" კორ.). 1940 წლის ნოემბერ-დეკემბერში ნავთის მრეწველობის მუშაკთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში ჩაბმული იყო საქნავთის წითელწყაროს ბურღვის კანტორის მუშაკთა კოლექტივი.

ბურღვის კანტორის მუშაკებს აღებული ჰქონდათ ვალდებულება ნოემბერ-დეკემბერში გეგმის ზევით გაებურღათ 1226 მეტრი. ფაქტიურად გაბურღეს 3297 მეტრი და აღებული ვალდებულე- [illegible] რეს და ექსპლოატაციაში გადასაცემად მოამზადეს 9 ჭაბურღილი.

ჭაბურღილის უფროსებმა აღებული ვალდებულება შეასრულეს: პ. დალგანიძემ—210,7 პროცენტით, ს. ლორთქიფანიძემ—176,3 პ. ფიფიამ—168,8, ნ. შალხოშვილმა—162.9 პროცენტით და სხვ.

ბურღვის კანტორის კოლექტივმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია 1940 წლის IV კვარტალ- [illegible]

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 6 იანვარი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა გადმოგვცემს: გერმანიის წყალქვეშა ნავი იუწყება, რომ მან ჩაძირა მტრის 20.600 ტონა წყალწყვის გემები. გუშინდელი ფრენის დროს გერმანიის თვითმფრინავებმა წარმატებით მიიტანეს იერიში სამხრეთ ინგლისის მნიშვნელოვან სამხედრო ნაგებობებზე და მტრის გემებზე ინგლისის სანაპიროს მახლობლად, საუტენდის მახლობლად მტრის 3.000-დან 4.000 ტონამდე წყალწყვის გემმა შეწყვიტა ნაოსნობა ბომბარდირების შედეგად. წარმატებით მიიტანეს აგრეთვე იერიში მტრის ორ საგუშაგო ნაღმოსანზე და ერთ შეიარაღებულ სავაჭრო გემზე.

დღის განმავლობაში ლონდონს დაუყარეთ სხვადასხვა ყალიბის ცეცხლგამჩენი და ფუგასური ყუმბარები. ყუმბარები დაეშვნენ საქარხნო და სატრანსპორტო ნაგებობებს, აგრეთვე აეროდრომებს სამხრეთ-ინგლისში. უკანასკნელ ღამეს გერმანიის ავიაცია კვლავ დაესხა თავს ლონდონს.

5 იანვარს ღამით, მტერი თავს არ დასხმია გერმანიას. რამდენიმე თვითმფრინავი ცდილობდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე შემოჭრილიყო, მაგრამ უშედეგოდ იქნა. ორი ყუმბარმშენი საფრანგეთის სანაპიროს მახლობლად ზღვაში ჩავარდა. გერმანიის ავიაციას ზარალი არ მოსვლია.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 6 იანვარი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ გერმანიის ავიაციამ ასობით ცეცხლგამჩენი ყუმბარა ჩამოაგდო ლონდონში. ბევრ ადგილას გაჩნდა ხანძარი, მაგრამ შესაძლებელი გახდა მისი გავრცელების თავიდან აცილება. დაზიანებულია ბევრი შენობა. მოკლულია და დაჭრილია რამდენიმე ადამიანი. ლივერპულსა და სხვა ქალაქებზე თავდასხმებს არ მოჰყოლია სერიოზული ზარალი და დიდი მსხვერპლი.

ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ გუშინ დაღამებამდე სანაპირო დაცვის თვითმფრინავების მცირე შენაერთი თავს დაესხა გემებს ბრისტის დოკებში და მტრის ერთერთ აეროდრომს. ჩამოგდებულია მტრის ერთი თვითმფრინავი. ინგლისის ყველა თვითმფრინავი დაბრუნდა უკან.

საომარი მოქმედება ალბანეთში

ათენი, 6 იანვარი (საკდესი). გუშინ, სღლამოს, საბერძნეთის არმიის სარდლობამ გადმოგვცა: „ჩვენმა ჯარმა ადგილობრივი ხასიათის ოპერაციები ჩაატარა. ხელში ჩავიგდეთ 200-მდე ტყვე და დიდძალი სამხედრო ქონება".

საბერძნეთში მოქმედი ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობა იუწყება, რომ გუშინ ინგლისის ავიაციამ ელბასანის რაიონში ყუმბარები დაუშვა სამხედრო ობიექტებს. მრავალ ადგილას გაჩნდა ხანძარი, დიდი ხანძარი გაჩნდა თვით ელბასანში. ინგლისის ყველა თვითმფრინავი დაბრუნდა.

გაზეთი „კინონია" აღნიშნავს, რომ „ჩრდილოეთ სექტორში მტერმა თავი მოუყარა საგრძნობ ძალებს და, ჩვენი პოზიციების ფართო ფრონტის გარღვევის მიზნით ცდილობდა შეტევაზე გადმოსულიყო. მაგრამ ეს შეტევა მოგერიებულ იქნა. ფრონტის ცენტრალურ უბანში [illegible] გერიებულია იტალიელთა კონტრიერიშები; მათ დიდი ზარალი ნახეს. ამ უბანში იტალიელთა ჯარი ყოველ ორ დღე-ღამეში იცვლება და გააფთრებით ცდილობს ვალონის შენარჩუნებას.

მოგერიებულია აგრეთვე იტალიელთა იერიში კლეისურის მთების აღმოსავლეთ კალთების რაიონში ბერძნები კვალდაკვალ მისდევენ იტალიელებს, რომლებიც უკან იხევენ ვალონისაკენ მიმავალი გზით, დუკატის მიმართულებით. მდინარე დუკატის ხიდის ახლოს მომხდარი ბრძოლის დროს დაიღუპა 150 იტალიელი. კლეისურის მთებში მომხდარი შეტაკების დროს ტყვედ წაიყვანეს 500 იტალიელი და ხელთ იგდეს 4 სავალე ქვემეხი და 12 ტყვიამფრქვევი.

ტეპელენეს სექტორში საბერძნეთის ჯარმა დაიკავა პუნქტი ფრატარი და 5 მილით წაიწია დასავლეთის სოფელ კუტამდე. ბერძნები მიიწევენ წინ [illegible] სოფლით ქალა, რომელიც მდებარეობს [illegible]

ბარდიაში მყოფმა იტალიის ჯარმა იარაღი დაჰყარა

ლონდონი, 6 იანვარი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან: „გუშინ ბარდიის გარნიზონმა შეწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა. ქალაქი მთელი ვისი დამცველი ძალებითა და სამხედრო საჭურველის მარაგითურთ ჩვენს ხელშია. ტყვეთა რიცხვი 25 ათას აღემატება. ტყვეთა შორის არიან ბარდიაში მოქმედი იტალიის ჯარის მთავარსარდალი, გენერალი ბერგონცოლი და ოთხი სხვა გენერალი. ხელთ ჩავიგდეთ ან მოვსპეთ 45 მსუბუქი და 5 საშუალო ტანკი".

რეიტერის სააგენტოს სამხედრო მიმომხილველი, ეხება რა ბარდიის სტრატეგიულ მნიშვნელობას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, თუმცა ეს პატარა ნავსადგური უფრო ნაკლებ გამოსადეგია, ვიდრე სოლუმი, მაგრამ მაინც, ამ უკანასკნელთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ინგლისის იმ ჯარის მომარაგების უზრუნველყოფაში, რომელიც ლიბიაში მოქმედებს. დღემდე ფრონტი ავტოტრანსპორტის საშუალებით მარაგდებოდა.

მიმომხილველი შემდეგ აღნიშნავს, რომ მტრისაგან ბარდიის რაიონის გაწმენდის შემდეგ იტალიის ძირითადი ძალები თავმოყრილი იქნებიან ტობრუკის რაიონში, ბარდიიდან თითქმის 70 მილის დაშორებით. ეს გააძნელებს მათს კონტრშეტევას. მიმომხილველის აზრით, ბარდიის დაცემის შედეგად იტალიელებმა დაჰკარგეს ბაზა ეგვიპტის წინააღმდეგ ოპერაციების საწარმოებლად.

იტალიის ცნობა

რომი, 6 იანვარი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება, რომ გუშინ ბარდიის ფრონტზე გააფთრებული ბრძოლა გრძელდებოდა. იტალიის ჯარის მიერ მედგარი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ მტერმა ხელთ იგდო რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი და ამასთან საგრძნობი ზარალი ნახა.

საბერძნეთის ფრონტზე ადგილობრივი ხასიათის ოპერაციები სწარმოებდა, ამასთან მტერს მნიშვნელოვანი ზარალი მოვიდა. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და იარაღი.

აღმოსავლეთ აფრიკაში მოწინააღმდეგის გემებმა სროლა აუტეხეს სომალის სანაპიროს იტალიის ავიაციამ ყუმბარე- [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავენი დაჯილდოებულნი მედლებით სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილებით. მარცხნიდან მარჯვნივ (ზევით) გ. ქარჩავა, გ. ნარსია, გ. ჩაჩიბაია, შ. ნუცუბიძე, ი. დვალი, გ. კირიაკოვი; ი. ფეიქრიშვილი, მ. გოგოლიშვილი, ს. ქეთიშვილი, ვ. ბელქანია, ა. დალაქიშვილი, მ. კანდელაკი, ს. მიქაძე.

საპატიო ჯილდოს ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ

ახალი წარმატებებისაკენ

მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ დაჯილდოებული ვარ ვერცხლის დიდი მედლით და 1000 მანეთით. ამ საპატიო ჯილდომ ჩემში დიდი აღფრთოვანება და შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია. პირობას ვიძლევი ვიმუშაო კიდევ უფრო მეტი მონდომებით, რომ საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 1941 წელს გამოფენაზე წარსდგეს ბევრად უფრო მაღალი მაჩვენებლებით, ვიდრე გასულ წლებში.

ჩვენს სამეცნიერო თემატიკას მჭიდროდ დავუკავშირებთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობას, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ქართლის რაიონების სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ პარტიისა და მთავრობის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციის საქმეში ინსტიტუტის მონაწილეობას. გარდა ამისა, ადგილებზე ბრიგადების გაგზავნით ჩავატარებთ 100-მდე კონსულტაცია-საუბარს, რაიონული გაზეთებისათვის უზრუნველვყოფთ პოპულარული ხასიათის წერილების მიწოდებას და სხვ.

დოც. ნ. გელაშვილი

საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი.

საპატიო ჯილდოს საპასუხოდ

სიღნაღი („კომუნისტის“ კორ.). წნორის მტს-ი (დირექტორი—ამხ. ი. ფეიქრიშვილი) ფართო ჩვენებით მონაწილეობდა 1940 წლის სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. გამოფენის მონაწილე იყო აგრეთვე მტს-ის 42 მოწინავე მუშაკი.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი საგამოფენო კომიტეტის დადგენილებით მტს-ი დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით, მსუბუქი ავტომანქანით და 10.000 მანეთით. ცნობამ საპატიო ჯილდოს მიღების შესახებ დიდი სიხარული და ენთუზიაზმი გამოიწვია წნორის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა შორის.

მტს-ის სარემონტო სახელოსნოს ეზოში სახელდახელო მიტინგზე, რომელიც ი. ჭრაჭაშვილმა გახსნა, თავი მოიყარეს მტს-ის მუშა-მოსამსახურეებმა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: ზეინკალი კიმბერგი, უფროსი მექანიკოსი დ. მერაბიშვილი, მექანიკოსი გურაშვილი, ტრაქტორისტები რ. ფხოველიშვილი, დ. ფურცელაძე, ბრიგადირები მ. ხატიაშვილი, რ. ხატიაშვილი და სხვ. სულ 17 კაცი.

ბრიგადირმა მ. ხატიაშვილმა მიტინგის მონაწილეთ უამბო იმის შესახებ, რომ 1940 წელს მისმა ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული 2.100 ჰექტარის ნაცვლად რბილ ხვნაზე გადაყვანით 2.900 ჰექტარი მოხნა და 3.000 კილოგრამი საწვავის ეკონომია გააკეთა. მან ვალდებულება აიღო ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად დაამთავროს ტრაქტორების რემონტი და ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს საგაზაფხულო თესვას.

— ტრაქტორს, რომელზეც მე ვმუშაობდი, 350 ჰექტარი უნდა მოეხნა. ტრაქტორს საუკეთესოდ ვუვლიდი და შეუფერხებლად ვამუშავებდი მას. ამის შედეგად ხვნის წლიური გეგმა ერთიორად გადაჭარბებით შევასრულე, გავაკეთე 2.165 კილოგრამი საწვავის ეკონომია და გამოვიმუშავე 1.100 შრომადღე. მაღალი ჯილდოს საპასუხოდ ვიღებ ვალდებულებას ტრაქტორების რემონტი ჩავატარო მაღალხარისხოვნად და 1941 წლის დავალება 250 პროცენტით შევასრულო, — განაცხადა მიტინგზე ტრაქტორისტმა ა. ნასიბოვმა.

ზეინკალი კიმბერგი ეროვნებით ესტონელია. მან განაცხადა:—მე მახარებს ის, რომ წითელმა არმიამ გაათავისუფლა ჩემი მოძმე ხალხი — ესტონელები, რომლებიც უკვე შეუდგნენ ბედნიერი და სამური ცხოვრების შექმნას. საპატიო ჯილდოს საპასუხოდ ვკისრულობ წლიური გეგმა შევასრულო 150-200 პროცენტით.

მტს-ის მთელმა კოლექტივმა იკისრა ვალდებულება ვადაზე 20 დღით ადრე დაამთავროს ტრაქტორების და მისაბმელი მანქანების რემონტი, ერთი თვით ადრე—კომბაინების რემონტი და სავსებით მომზადებული შეხვდეს საგაზაფხულო თესვის დაწყებას.

უკვე გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ცალკეულ ბრიგადებსა და ტრაქტორისტებს შორის.

ი. გალიაშვილი

დიღმელთა სიხარული

მთავარი საგამოფენო კომიტეტის დადგენილებით თბილისის რაიონის სოფ. დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა დაჯილდოებულია მეორე ხარისხის დიპლომით, 5000 მანეთით და მოტოციკლით. მათს სიხარულს საზღვარი არა აქვს, უხარიათ ჯილდო, 1940 წ. სამეურნეო წლის შედეგებიც — კოლმეურნეობა მილიონერი რომ გახდა.

შესდგა სახელდახელო მიტინგი. მგრძნობიარე, სიხარულით ავსე სიტყვა წარმოსთქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. დ. მარიამულმა. საპატიო ჯილდო დიდ მოვალეობას გვაკისრებს. ამ საზეიმო ვითარებაში კოლმეურნეთა სახელით სიტყვას ვაძლევ პარტიას და მთავრობას, რომ კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით ვიბრძოლებთ ახალი გამარჯვებებისათვის.

ამხ. მარიამულმა ილაპარაკა კოლმეურნეობის საბრძოლო ამოცანებზე.

მგზნებარე სიტყვით გამოვიდა 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, ბრიგადირი ამხ. გენებაშვილი, რომელმაც იკისრა: მიაღწიოს თვითეულ ჰექტარზე პამიდორის საშუალო მოსავალს 300 ცენტნერს, ნაცვლად 1940 წლის 276 ცენტნერისა, სუფრის ჭარხლის საშუალო მოსავალი აიყვანოს 500 ცენტნერამდე, კიტრისა—200 ცენტნერამდე. ამხ. გენებაშვილმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია № 4 ბრიგადის ბრიგადირი ბ. თოფჩიშვილი. ამხ. თოფჩიშვილმა გამოწვევა მიიღო.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სტახანოველი კოლმეურნე-ქალი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ბერიაშვილი, ს. ყანდაშვილი და სხვ.

1941 წლის საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარებისათვის კოლმეურნეობამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის რაიონის კოლმეურნეობები.

აკ. ქირია

გეგმის შესრულება

ლაგოდეხი („კომუნისტის“ კორ.). რაიონმა წარმატებით დაამთავრა 1940 წელი. 1940 წლის თამბაქოს დამზადების გეგმა შესრულებულია 105,7 პროცენტით; გეგმით გათვალისწინებული 1920 ტონა თამბაქოს ნაცვლად დამზადებულია 2028 ტონა.

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია 110 პროცენტით. დამზადებულია 87.452 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 79.500 კილოგრამისა.

ხორცის, ყველისა და მატყლის ჩაბარების სახელმწიფო ვალდებულებანი და სახელმწიფო შესყიდვის გეგმები შესრულებულია მთლიანად.

ზ. საგინაშვილი

პირველობას არ დავთმობ

მთავარი საგამოფენო კომიტეტის დადგენილებით 1938-39 წლებში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებული ვარ ოქროს დიდი მედლით და 3.000 მანეთით.

ეს საპატიო ჯილდო, რომლის ღირსიც გავხდი, მმატებს ენერგიას და დარწმუნებული ვარ, რომ მიმდინარე წლის გამოფენას შევხვდები ახალი წარმატებებით. ამ მიზნით ჩემი ბრიგადა სოცშეჯიბრებაშია ჩაბმული ასურეთის მტს-ის პირველ ბრიგადასთან.

პირობას ვიძლევი ჯილდოს საპასუხოდ 1941 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენასთან დაკავშირებით ტრაქტორების საზამთრო რემონტი დავამთავრო 10 იანვარს. ჩემი მუშაობის გამოცდილება შევასწავლე 7 ტრაქტორისტს. ბრიგადაში უზრუნველვყავი ტრაქტორების ნორმალური მუშაობა, გავხნა 125 ჰექტარი, სხვადასხვა კულტურები დავთესე ამდენივე ფართობზე, დავფარცხე ჯეჯილი 500 ჰექტარზე.

ყველა ამ სამუშაოს შევასრულებ დაწესებულ ვადაზე 6 დღით ადრე და დავზოგავ 120 კილოგრამ საწვავ მასალას.

ა. დალაქიშვილი

თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის მტს-ის ბრიგადირი.

ჩემი პასუხი

უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებებისათვის მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ დაჯილდოებული ვარ ოქროს პატარა მედლით.

ჩემთვის ამ მეტად სასიხარულო ცნობასთან დაკავშირებით მინდა პირობა მივცე პარტიას და მთავრობას, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი მონდომებით ვიმუშავებ ჩვენი ბედნიერი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მოსავლიანობის ზრდისათვის.

1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით, მივიღებ აქტიურ მონაწილეობას საქართველოს ყველა რაიონში მარცვლეულ კულტურათა ჯიშების სწორ განაწილებასა და ნაკლებმოსავლიანი ჯიშების მაღალმოსავლიანი ჯიშებით შეცვლაში. მარცვლეული კულტურებისა და ნათესი ბალახებისათვის შევადგენთ ახალ აგროწესებს და მიმდინარე თვეშივე მივაწოდებთ რაიონებს.

ყოველმხრივ ხელს შევუწყობ სოფლის მეურნეობის მიღწევათა ფართოდ დანერგვას და ახალგაზრდა კადრების მომზადებას.

ს. მიქაძე

საქმიწსახკომის აგროტექნიკისა და მექანიზაციის სამმართველოს უფროსი და მთავარი აგრონომი.

მაღალი ჯილდოს საპასუხოდ

ხაშური, (საქდესი). სოფ. ზემო ოსიაურის კოლმეურნეობის წევრები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის მთავარმა კომიტეტმა ეს კოლმეურნეობა მეორე ხარისხის დიპლომით, ხუთი ათასი მანეთით და მოტოციკლით დააჯილდოვა. მაღალი ჯილდოს პასუხად კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს, რომ საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გახსნის დღისათვის მზად იქნებიან საგაზაფხულო თესვისათვის და წელს ჰექტარზე საშუალოდ 13 ცენტნერ ხორბალს, 20 ცენტნერ სიმინდს, 18 ცენტნერ ქერს და 350 ცენტნერ შაქრის ჭარხალს მოიყვანენ.

ახალი წარმატებებით ვუპასუხებთ

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილებით წნორის მტს-ი დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით, 10.000 მანეთით და მსუბუქი ავტომანქანით, ხოლო პირადათ მე — ოქროს პატარა მედლით. ამ ცნობამ მტს-ის მუშაკებში დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია.

წნორის მტს-ი უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სისტემატურად წარმატებით ასრულებს დავალებებს, ზედიზედ აღწევს გამარჯვებებს. კადრების სწორად შერჩევითა და მათი მიზანშეწონილად განაწილებით, სოციალისტური შეჯიბრებით, პასუხისმგებლობის გაზრდითა და ვალდებულებათა შესრულებისათვის სისტემატური კონტროლის უზრუნველყოფით მტს-მა მიაღწია ყველა შენიშნული ნაკლის დროულად გამოსწორებას და, ნაცვლად 1937 წლის 91,2 პროცენტისა, 1938 წლის საწარმოო დავალება 130 პროცენტით შეასრულა, 1939 წლისა კი — 119,7 პროცენტით. მტს-ი ჩადგა მოწინავეთა რიგებში და, როგორც ტრაქტორების დატვირთვის, ისე მოსავლიანობის დარგში 3 წლის საშუალო მაჩვენებლებით იგი დამტკიცებულ იქნა 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ. ამავე დროს, მტს-ის 160 მუშაკიდან გამოფენის მონაწილეებად დამტკიცებულ იქნა 37 მოწინავე ამხანაგი.

განსაკუთრებული მონდომებით გაიშალა მტს-ში მუშაობა 1940 წელს და ჯერ კიდევ ვადაზე 10 დღით ადრე საწარმოო დავალება 108,5 პროცენტით იქნა შესრულებული: მტს-მა დიდი გადაჭარბებით შეასრულა კერძოდ მზრალად ხვნის გეგმა.

მტს-მა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე ტრაქტორების შეკეთების 1940 წლის მეოთხე კვარტალის გეგმა, ნაცვლად 10 ტრაქტორისა, კაპიტალურად შეაკეთა 11 ტრაქტორი, ხოლო მიმდინარე რემონტი გაუკეთა გეგმით გათვალისწინებულ 22 ტრაქტორს. 1 იანვრისათვის კი მტს-მა დამატებით 5 ტრაქტორი შეაკეთა.

პირობას ვიძლევით ტრაქტორების შეკეთების საზამთრო გეგმა შევასრულოთ ვადაზე 20 დღით ადრე, კომბაინებისა — 1 თვით ადრე, ხოლო საგაზაფხულო თესვა — 10 დღით ადრე.

საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულების მიზნით მტს-ი სოცშეჯიბრებაში ჩაება ბორჩალოს მტს-თან, კერძოდ რემონტის ჩატარების მხრივ იგი ულიანოვკის მტს-ს ეჯიბრება. ჯილდოს მიღებას ახალი წარმატებებით ვუპასუხებთ — ასეთია მტს-ის მუშაკთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

ი. ფეიქრიშვილი

წნორისწყალის მტს-ის დირექტორი.

ჯილდოს საპასუხოდ ახალი ვალდებულებები აიღეს

კასპი, („კომუნისტის“ კორ.) სოფ. მრგვალიჯვარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით მოისმინეს საქ. ალკკ კასპის რაიკომის მდივნის ამხ. გ. კობიძის ცნობა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის მიერ ამხ. სონა ქეთიშვილის ოქროს დიდი მედლით დაჯილდოების შესახებ. სოფ. მრგვალიჯვარის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ტ. ხარიბაშვილმა კრებაზე განაცხადა: სონა ქეთიშვილი, ჩვენი კოლმეურნეობის სახელოვანი წევრი, საქვეყნოდ ცნობილი გახდა; მან შაქრის ჭარხლის მოსავლის მიღებაში რეკორდი დაამყარა, რისთვისაც იგი დაჯილდოებულია ოქროს დიდი მედლით და 3 ათასი მანეთით. ეს მთელი ჩვენი კოლმეურნეობის ჯილდოც არის. პარტიისა და მთავრობის ეს დიდი ყურადღება და დაფასება გვავალებს კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ მუშაობა ახალ წარმატებათა უზრუნველსაყოფად, მივაღწიოთ მორიგ გამარჯვებებს. ამას ჩვენ კიდევაც გავაკეთებთ.

კრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ადგილობრივი პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. თ. ყარაშვილმა და მეფუტკრეობის ფერმის გამგემ ამხ. მ. ზალოშვილმა.

კოლმეურნეობამ იკისრა წელს ისე წარმართოს მუშაობა, რომ ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 15 ცენტნერი ხორბალი და 20 ცენტნერი სიმინდი, გარდა ამისა, ფუტკრის თითო ოჯახზე მიიღოს 20 კილოგრამი თაფლი, იბრძოლოს იმისათვის, რომ პარტიისა და მთავრობის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილება ქართლის რაიონების შემდგომი აყვავების შესახებ სანიმუშოდ იქნას შესრულებული.

ამხ. სონა ქეთიშვილმა კრებას სიტყვა მისცა, რომ იგი მიმდინარე წელს სანიმუშოდ მოუვლის 2 ჰექტარ შაქრის ჭარხლის ნათესს და უზრუნველჰყოფს ჰექტარზე საშუალოდ 1.200 ცენტნერი მოსავლის მიღებას.

დაჯილდოებულ კოლმეურნეობაში

თელავი, („კომუნისტის“ კორ.). თელავის რაიონის სოფ. აკურის კოლმეურნეობა „მოწინავე“ მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ დაჯილდოებულია მეორე ხარისხის დიპლომით, 5000 მანეთით და მოტოციკლით.

დაჯილდოების შესახებ ცნობის მიღებასთან დაკავშირებით შესდგა კოლმეურნეთა საერთო კრება. კოლმეურნეობის დაჯილდოების ამბავმა კოლმეურნეთა შორის ახალი საწარმოო ენთუზიაზმი გამოიწვია. დაჯილდოების საპასუხოდ და საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით კოლმეურნეობამ კონკრეტული ვალდებულებანი იკისრა.

1941 წელს კოლმეურნეობა გააშენებს 38 ჰექტარ ვენახს. ნამყენ ვაზს გაახარებენ 75 პროცენტით, ნაცვლად 1940 წელს გახარებული 55 პროცენტისა.

აღებულია ვალდებულება, რომ 1941 წელს ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 110 ცენტნერი ყურძენი და მუდმივ ადგილზე გაშენებული ნამყენი გაახარონ 96 პროცენტით.

კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადირებმა აიღეს ვალდებულება საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესი კულტურები დაამუშაონ სანიმუშოდ, და ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 10 ცენტნერი საშემოდგომო მარცვლეულისა და 25 ცენტნერი საზაფხულო კულტურების მოსავალი.

მეცხოველე კოლმეურნეებმა იკისრეს სანიმუშოდ მოემზადონ დოლისათვის, კარგად გამოაზამთრონ პირუტყვი და 98 პროცენტით შეინარჩუნონ ნამატი.

კ. აფხაზავა

ტრაქტორების შეკეთების გეგმა შესრულებულია

ზესტაფონი („კომუნისტის“ კორ.). ზესტაფონის მტს-მა (დირექტორი — შ. ბარბაქაძე) ტრაქტორების შეკეთების 1940 წლის მე-4 კვარტალის გეგმა შეასრულა. შეკეთებულია 9 ტრაქტორი, მათ შორის 4 კაპიტალურად და 5 მიმდინარე რემონტით. გეგმის გადამეტებით შეკეთებულია 2 გუთანი.

ინგლის-გერმანიის ომი

ბერლინი, 5 იანვარი (საქდესი). უმაღლესი სარდლობა იუწყება: გუშინ გერმანიის ავიაციის მოქმედება დაზვერვით განისაზღვრებოდა. წუხელ გერმანიის ავიაციის დიდმა შენაერთებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები ევონმუტს, რომელსაც, როგორც ბრისტოლის ნავსაყუდელს, დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე სამხედრო თვალსაზრისით რამდენიმე სხვა მნიშვნელოვან ობიექტს ბრისტოლის ყურეში.

ინგლისის ავიაციამ ყუმბარების მცირე რაოდენობა ჩამოჰყარა გერმანიის ტერიტორიის რამდენიმე ადგილას, რამაც უმნიშვნელო მატერიალური ზარალი გამოიწვია. სამხედრო ობიექტები არ დაზარალებულა.

ლონდონი, 5 იანვარი (საქდესი). როგორც [illegible] იუწყებიან, გუშინ დაბნელების შემდეგ გერმანიის თვითმფრინავები მრავალჯერ დაესხნენ თავს ინგლისს. თავდასხმა თითქმის მთელ ღამეს გრძელდებოდა. იერიში უმთავრესად მიმართული იყო დასავლეთ ინგლისის ერთი ქალაქის წინააღმდეგ, სადაც ხანძარი გაჩნდა. მოსახლეობაში არიან მოკლულნი და დაჭრილნი. ყუმბარები ჩამოჰყარეს აგრეთვე სამხრეთ უელსის სხვადასხვა პუნქტებში, სადაც ზარალი და მსხვერპლი დიდი არ არის. ლონდონში საჰაერო განგაში რამდენიმე საათს გრძელდებოდა, მაგრამ ლონდონზე თავდასხმა უმნიშვნელო იყო.

ომი ზღვაზე

ბერლინი, 4 იანვარი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ წყნარ ოკეანეში ჩაძირულმა ინგლისის 8.706 ტონა წყალწყვის ხომალდმა „ტურაკინამ“ ხანგრძლივი წინააღმდეგობა გაუწია გერმანიის დამხმარე კრეისერს, რომელმაც ხომალდს წინადადება მისცა გაჩერებულიყო. ამიტომ ხომალდის ეკიპაჟიდან მხოლოდ 23 კაცის გადარჩენა მოხერხდა.

ბრიუსელი, 4 იანვარი (საქდესი). ომის განმავლობაში ბელგიის სავაჭრო ფლოტმა 127 ათასი ტონა საერთო წყალწყვის გემები დაკარგა.

ეირეს მთავრობის პროტესტი გერმანიისადმი

ნიუ-იორკი, 4 იანვარი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი დუბლინიდან იუწყება, ეირეს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ, როგორც კარეში, იულიანსტაუნში, დუნლიკსა და ბორისში ჩამოყრილი ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარების ნამტვრევების გამოკვლევამ დაადასტურა, ეს ყუმბარები გერმანული წარმოშობისაა. ეირეს საქმეთა რწმუნებულს ბერლინში დაევალა პროტესტი გამოუცხადოს გერმანიის მთავრობას გერმანიის თვითმფრინავების მიერ ეირეს ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო.

ამერიკის დახმარება ინგლისისადმი

ნიუ-იორკი, 4 იანვარი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა კონგრესს წარუდგინა პირველი ცნობები 1940 წლის განმავლობაში ამერიკის არმიის მიერ გაყიდული „ნაჭარბი“ საჭურველის რაოდენობის შესახებ. ამ ცნობებში შეტანილია საჭურველი, რომელიც ამერიკულ კომპანია „იუნაიტედ სტეიტს სტილს“ მიჰყიდეს, როგორც ჩანს, ინგლისისათვის მისაყიდავად. სულ ამერიკის არმიამ მიჰყიდა ამ კომპანიას 212 ექვსტონიანი ტანკი, 945 ათასი შაშხანა, 8.172 ათასი კილოგრამი ტრინიტროტოლუოლი, 83.581 ტყვიამფრქვევი, 2.245 ცალი 75-მილიმეტრიანი საველე ქვემეხი, სტოკსის 316 სამდიუმიანი ნაღმმფრქვევი, 98 ათასზე მეტი ჰურვი 200 ათასი რევოლვერი, 100 ათასი ტყვიამფრქვევის სავაზნე ლენტი, 100 ათასი სავაზნე ყუთი, 25 ათასი ავტომატური შაშხანა-ბრაუნინგი, 1 მილიონი ოც-ოც ვაზნიანი მჭიდი, 1.081 ათასი სარევოლვერო ვაზნა, 6.148 ათასი ტყვიამფრქვევის ვაზნა და 4 მილიონი შაშხანის ვაზნა.

საომარი მოქმედება ალბანეთში

ათენი, 5 იანვარი (საქდესი). საბერძნეთის სარდლობა იუწყება, რომ გუშინ ადგილობრივი ხასიათის წარმატებითი მოქმედების დროს საბერძნეთის ჯარმა ტყვედ ჩაიგდო 204 კაცი. ჯარმა ხელთ იგდო აგრეთვე დიდძალი ავტომატური იარაღი და საომარი მასალა.

საბერძნეთში მყოფი ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის ცნობაში აღნიშნულია, რომ ინგლისის ავიაციამ 2 იანვარს წარმატებით დაუშინა ყუმბარები ელბასანს. ყველა ყუმბარა ჩამოგდებულ იქნა ქალაქის ცენტრში და მთავარ გზებზე. სამ ადგილას დიდი ხანძარი გაჩნდა, დაზიანებულია რამდენიმე შენობა.

მთელი ბერძნული პრესა იუწყება, რომ ფრონტის ზღვისპირა სექტორში ჩრდილოეთ ალბანეთიდან მოსულმა მტრის ჯარის ახალმა ნაწილებმა სცადეს კონტრშეტევაზე გადასვლა, მაგრამ უკუქცეულ იქნენ პირვანდელ პოზიციებზე და ამასთან მძიმე ზარალი განიცადეს. იტალიელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს დიდძალი საომარი მასალა. ადგილობრივი მნიშვნელობის ოპერაციებში მტერმა გამოიყენა დიდი მექანიზებული და სატანკო ნაწილები. მაგრამ საბერძნეთის ჯარის მოქმედებამ იტალიელები აიძულა თავიანთი პოზიციების დაცვაზე გადასულიყვნენ. საბერძნეთის ავიაციამ წარმატებით დაუშინა ყუმბარა იტალიელთა შეჯგუფებულ მექანიზებულ კოლონებს და უკუაქცია ისინი.

კლისურის რაიონში მტერი, რომელიც ცდილობს შეანელოს საბერძნეთის ჯარის წინსვლა, რამდენჯერმე კონტრიერიშზე გადმოვიდა დაკარგული პოზიციების უკან დაბრუნების მიზნით, მაგრამ აქაც იძულებული გახდა უკან დაეხია.

ტეპელენის რაიონში ქვეითი ჯარისა და არტილერიის სწრაფი მოქმედებით დაკავებულია იტალიელთა მნიშვნელოვანი პოზიციები.

იტალიელები განსაკუთრებით მედგარ წინააღმდეგობას გვიწევენ ჩრდილოეთის ფრონტზე, სადაც საბერძნეთის არტილერიამ მწყობრიდან გამოიყვანა მტრის ბატარეების ერთი ნაწილი. ამ სექტორში საბერძნეთის ავიაციამ, წარმატებითი ბომბარდირების შემდეგ მტრის საომარი მასალის საწყობი ააფეთქა.

ნიუ-იორკი, 5 იანვარი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ათენში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ საბერძნეთის წყალქვეშა ნავმა „კატსონისმა“ ალბანეთის ჩრდილოეთ ნაწილში ჩასძირა იტალიელთა ტანკერი.

ბრძოლა ბარდიის რაიონში

ნიუ-იორკი, 4 იანვარი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ავსტრალიის სამხედრო მინისტრმა სპენდერმა, რომელიც ამჟამად ეგვიპტეში იმყოფება, დეპეშით აცნობა მთავრობას, რომ ავსტრალიის ჯარი ბარდიაში შევიდა. მას ტყვედ ჩაუვარდა 8.000 იტალიელი.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ავსტრალიის ჯარი, რომელმაც ბარდიას მიაღწია, წინსვლას განაგრძობს სამხრეთის მიმართულებით. მას იერიში მიაქვს მტრის ზურგის სიმაგრეებზე და ტყვიამფრქვევთა ბეტონირებულ ბუდეებზე.

ინგლისის კომუნიკე აფრიკაში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ

ლონდონი, 5 იანვარი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ჯერ კიდევ დაღამებამდე იტალიის ჯარი, რომელიც ბარდიის ჩრდილოეთ ნაწილს იცავდა, იძულებული გახდა იარაღი დაეყარა. ინგლისის ჯარი ბარდიაში შევიდა და დაიკავა ქალაქის თავდაცვითი სიმაგრეთა სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ტყვედ ჩავიგდეთ 15 ათასზე მეტი იტალიელი. დაკავებული რაიონის მტრისაგან გაწმენდის ოპერაციები წარმატებით მიმდინარეობს. სუდანისა და კენიის ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

იტალიის სარდლობის ცნობა

რომი, 5 იანვარი (საქდესი). იტალიის სარდლობა იუწყება:

ბარდიის ფრონტზე ბრძოლა გრძელდება. იტალიის ავიაცია ყუმბარებს უშენს და ტყვიამფრქვევს ესვრის მტრის ჯარს. იტალიის სახმელეთო და საჰაერო ძალთა გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად, მტერმა ხელთ იგდო რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი. იტალიის ავიაციამ არაერთხელ დაუშინა ყუმბარები მტრის გემებს, რომელიც ბარდიის სანაპიროსთან იდგნენ. საჰაერო ბრძოლის დროს იტალიის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს მტრის 8 თვითმფრინავი. იტალიის 3 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

საბერძნეთის ფრონტზე ადგილობრივი ხასიათის მოქმედებაა. იტალიის ჯარმა ხელთ იგდო იარაღი და ტყვეები.

აღმოსავლეთ აფრიკაში ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები და ფურცლები ჩამოჰყარეს სომალის ზოგიერთ პუნქტში. ინგლის-ეგვიპტის სუდანის საზღვარზე არტილერიის სროლაა.

ახალი ცვლილებანი თურქეთის „ერის დაცვის“ კანონში

სტამბოლი, 4 იანვარი (საქდესი). თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა ახალი ცვლილებები შეიტანოს „ერის დაცვის“ კანონში. ამ ცვლილებების თანახმად, მთავრობას უფლება ეძლევა საჭირო შემთხვევაში რეკვიზიცია უყოს თავდაცვისათვის საჭირო ყოველგვარი სახის კერძო საზღვაო ტრანსპორტს. მთავრობას უფლება აქვს, თუ საჭიროდ დაინახავს, შეცვალოს ან გააუქმოს კიდევაც საქონლის სიები, რომლებიც დართული აქვს სავაჭრო შეთანხმებებს. გარდა ამისა, მთავრობას შეუძლია აკრძალოს ან შეზღუდოს საქონლის იმპორტი იმ ქვეყნებიდან, რომლებთანაც თურქეთს არა აქვს სავაჭრო შეთანხმება ან რომლებიც უპასუხოდ სტოვებენ თურქეთის მთავრობის წინადადებებს ასეთ შეთანხმებათა დადების შესახებ.

პარტიული ცხოვრება

დაიხურა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კომკავშირული ორგანიზაციების მე-6 საოლქო კონფერენცია

6 იანვარს დაიხურა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კომკავშირული ორგანიზაციების VI საოლქო კონფერენცია.

კონფერენცია ოთხ სხდომაზე იხილავდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტიკური პროპაგანდის სამმართველოს უფროსის, ბრიგადის კომისრის ამხ. დუბოვსკოის მოხსენებას საბრძოლო მომზადების გარდაქმნასთან დაკავშირებით ოლქის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

კამათმა მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა. მასში მონაწილეობა მიიღო 40-მდე დელეგატმა. კამათში გამოსული ამხანაგები ერთმანეთს უზიარებდნენ მუშაობის გამოცდილებას და ბოლშევიკურად აკრიტიკებდნენ ნაკლოვანებებს.

— ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კომკავშირული ორგანიზაციების მთელი მუშაობა, — ნათქვამია მიღებულ რეზოლუციაში, — მიზნად უნდა ისახავდეს ოლქის პარტიული ორგანიზაციებისა და სარდლობისათვის ქმედი დახმარების გაწევას საბჭოთა სამხედრო დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცებაში, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ამაღლებაში.

კონფერენცია მხურვალედ მიესალმა მოსკოვის სამხედრო ოლქის კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივას და მიიღო გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გაშლილ იქნას მზადება საბჭოთა კავშირის მარშლისა და გმირის ამხ. ტიმოშენკოს სახელობის სრულიად-საარმიო სათხილამურო კროსისათვის.

იმ ადგილებში, სადაც თოვლი არ არის, მოეწყობა სამთო-ალპინისტური კროსი.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს**, საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს**, საბჭოთა კავშირის მარშალსა და გმირს, თავდაცვის სახალხო კომისარს ამხანაგ **ტიმოშენკოს**. (საქინფორმი).

პარტიული აქტივი წარმატებით ეუფლება ბოლშევიზმს

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლის შემდეგ ოჩამჩირის რაიონის პარტიული აქტივის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში დიდი გარდატეხა მოხდა. პარტიული აქტივის საგრძნობმა ნაწილმა უკვე წარმატებით დაამთავრა „მოკლე კურსის" შესწავლა და ახლა მარქსიზმის კლასიკოსთა ცალკეულ ნაშრომებს სწავლობს.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლა მთლიანად დაამთავრეს ტყვარჩელქვანახშირის პარტბიუროს მდივანმა ამხ. პ. ლევჩენკომ, შავი ზღვის რკინიგზის ოჩამჩირის საკვანძო პარტბიუროს მდივანმა ამხ. მ. ჯიქიამ, ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის პარტორგმა ამხ. რ. ცანავამ, სოფ. კოჩარას საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. ნ. სოფიამ, სოფ. ახალი კინდღის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ნ. მექვაბიშვილმა, ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის ინჟინერმა ამხ. ქანდარიამ და სხვ.

სწორედ იმის შედეგად, რომ ხელმძღვანელი კადრები თვითონვე წარმატებით მუშაობენ ბოლშევიზმის დაუფლებაზე, დანარჩენი ამხანაგებიც ენერგიულად მეცადინეობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლისათვის. მაგალითად, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მუშაკები ი. პასკო, ვ. ტოჟება, გ. კლადკო და სხვ. წარმატებით ეუფლებიან ბოლშევიზმს. ტყვარჩელის თბოელექტროსადგურში ს. თარბა, ა. ქანდარია სისტემატურად მეცადინეობენ თავიანთი შეგნებულობის ასამაღლებლად; შავი ზღვის რკინიგზის ოჩამჩირის საკვანძო პარტბიუროს მდივანი ამხ. მ. ჯიქია სისტემატურად ესაუბრება კომუნისტებს თეორიულ საკითხებზე.

კოჩარას საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. ნ. სოფია, რომელმაც დაამთავრა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლა, რაიკომის ლექტორად მუშაობს. მისი ლექცია მიმზიდველია; ლექციებისათვის იგი გულდასმით ემზადება.

მიუხედავად ამისა, რაიონში მთელი რიგი ხელმძღვანელი ამხანაგები სუსტად მუშაობენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. მაგალითად, ოჩამჩირის მტს-ის დირექტორი ამხ. აშუბა სუსტად მუშაობს თავის თავზე. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" არცერთი თავი არ დაუმუშავებია ხეირიანად, არ დადის ლექციებსა და მოხსენებებზე, არ კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას. რაიმიწგანის გამგე ამხ. აკშბას იშვიათად თუ ნახავთ ლექციებზე, იგი სუსტად ერკვევა თეორიის საკითხებში. ყოველივე ეს გავლენას ახდენს მათ ავანგარდულ როლზე. ამხ. აშუბა და აკშბა სუსტად ხელმძღვანელობენ მტს-ის და რაიმიწგანის მუშაობას. ოჩამჩირის რაიკოოპკავშირის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ქ. ძიძიგური თვითონ არ სწავლობს პარტიის ისტორიას, ამიტომ გასაგებია, რომ ის თავის ორგანიზაციის წევრებს ვერ ეხმარება მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებაში. ასევე სუსტად მეცადინეობს თავისი თეორიული დონის ასამაღლებლად ოჩამჩირის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ამხ. აფშილავა და სხვ.

ამოცანა მდგომარეობს იმაში რომ შევაიარაღოთ რაიონის პარტიული აქტივი ღრმა პოლიტიკური შეგნებულებით და ამით ხელი შევუწყოთ ჩვენი კადრების ლენინურ-სტალინურ გამოწრთობას.

ვ. ზარქუა

საქ. თბილისი მატარებლების კონტროლიორთა ჯგუფი. სურათზე: აგიტატორი ამხ. შ. ტაბატაძე საუბარს ატარებს კონტროლიორთა შორის.

ფოტო ი. პოდეშტკისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გავაუმჯობესოთ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი

სიღნაღი („კომუნისტის" კორ.). „ლენინურ-სტალინური კომკავშირის ამოცანები სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში კიდევ უფრო მეტად გაიზარდა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ. „საკ. ალკკ — ნათქვამია პარტიის წესდებაში, — პარტიის აქტიური თანაშემწეა მთელ სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში, კომკავშირული ორგანიზაციები საქმით უნდა იყვნენ პარტიული დირექტივების აქტიური გამტარებლები სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, განსაკუთრებით იქ, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ არსებობს".

გამოცდილებით დადასტურებულია, რომ კომკავშირული ორგანიზაციები მათ წინაშე მდგომ ამოცანებს იქ ასრულებენ კარგად, სადაც პარტიული ორგანიზაციები საქმიან დახმარებას უწევენ კომკავშირს. სიღნაღის რაიონის ზოგერთმა პირველადმა პარტორგანიზაციამ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გააუმჯობესა კომკავშირის ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა; პარტორგანიზაციის კრებებზე სისტემატურად ისმენენ კომკავშირის კომიტეტის მდივნების მოხსენებებს, აძლევენ მათ პრაქტიკულ მითითებებს და ეხმარებიან დასახულ ამოცანათა შესრულებაში. პარტორგანიზაციის მდივნები და მათი მოადგილეები ხშირად ესწრებიან კომკავშირულ კრებებს და აქტიურად მონაწილეობენ საკითხების გადაჭრაში.

სოფელ ქვემო-მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული კომკავშირული ორგანიზაცია (მდივანი — ი. მჭედლიშვილი) კარგად მუშაობს. კომკავშირელები კოლმეურნეობაში პრაქტიკული მუშაობის საუკეთესო მაგალითს იძლევიან. რ. პაპუაშვილს 10 თვეში 400-ზე მეტი შრომადღე აქვს გამომუშავებული. 400-ზე მეტი შრომადღე გამოიმუშავეს აგრეთვე კომკავშირელებმა: ი. ჭუჭულაშვილმა და ლ. მაძღარაშვილმა, ამ ორგანიზაციაში 300-ზე ნაკლები შრომადღე არცერთ კომკავშირელს არა აქვს გამომუშავებული.

მახარაძის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულმა პარტორგანიზაციამ (მდივანი — მ. თითილოკაშვილი) წელს სამჯერ მოისმინა კომკავშირის ორგანიზაციის მდივნის მოხსენება კომკავშირული მუშაობის სხვადასხვა საკითხებზე და მისცა საჭირო მითითებანი ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. ამხ. მოსე თითილოკაშვილი კომკავშირის ორგანიზაციის მდივანს ეხმარება კომკავშირელებზე დავალებათა განაწილებაში, ოქმების გაფორმებაში, კრების დღის წესრიგის შერჩევაში, გეგმის შედგენაში და სხვ. ამხ. თითილოკაშვილი სისტემატურად ესწრება კომკავშირის კრებებს და აქტიურად მონაწილეობს საკითხების გადაჭრაში.

კომკავშირის ორგანიზაციებს კარგად ხელმძღვანელობენ აგრეთვე ტიბაანის კოლმეურნეობა „ხირსის გლეხთა შრომასთან" არსებული, ულიანოვკის მტს-თან არსებული და სხვა პირველადი პარტორგანიზაციები.

მაგრამ ყველგან ასე როდია. სოფელ ბოდბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტორგანიზაცია (მდივანი — ამხ. კალაშვილი) არ არის დაინტერესებული კომკავშირული მუშაობით, მაშინ როცა აქ მუშაობა მოისუსტებს, არ ტარდება კომკავშირის კრებები, თავის დროზე არ იკრიფება საწევრო ანარიცხები. კომკავშირის ორგანიზაციამ ერთი კრება ძლივს ჩაატარა და ისიც უხეიროდ. ამ კრებაზე განხილულ იქნა უდისციპლინო კომკავშირელთა საკითხი, მაგრამ კრებას მათ შესახებ არავითარი დადგენილება არ გამოუტანია. აქ კომკავშირელები კოლმეურნეობაში პრაქტიკული მუშაობის ცუდ მაგალითს გვაძლევენ. კომკავშირელებს — ნ. დეველაშვილს, შ. ჯანიაშვილს და გ. ჯანიაშვილს შრომადღეების მინიმუმიც კი არა აქვთ გამომუშავებული, კომკავშირის ორგანიზაციას კი მათ შესახებ ჯერაც არ უმსჯელნია.

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის ზოგიერთ ინსტრუქტორს თავის მოვალეობად არ მიაჩნია დაეხმაროს იმ საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციას, სადაც პარტიული ორგანიზაცია არ არსებობს. ვაქირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციაში, სადაც კომკავშირის მუშაობა ჩაშლილია, ამ ზონის ინსტრუქტორი არც კი მისულა.

კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის აქ აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საჭირო ზომები უნდა მიიღონ პირველადმა პარტორგანიზაციებმა და საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომმა.

ი. ბალიაშვილი
მ. ტუხაშვილი

ბიბლიოგრაფია

„ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე"

სოლომონ ყუბანეიშვილის „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე" (სახელგამი — 1940 წ., თბილისი) ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიისათვის კარგი შენაძენია.

რამდენადაც დასავლეთ ევროპის ლიტერატურის მკვლევარნი აპარებდნენ და ეძებდნენ მწერლის ცხოვრების ისეთ წვრილმანებსაც კი, თუ რა ერქვა იმ ცხენებს (ფანფარი და ფლორელი), რომლითაც მიასვენებდნენ ვიქტორ ჰიუგოს ცხედარს, ან რას ეძახდა სარა ბერნარი თავის გოგოს (ფილისი), ამდენად მრავალსაუკუნოვან და მრავალფეროვან ქართულ მწერლობას დღემდე არ გაჩნდა შესანიშნავი მწერლების ცხოვრების კაპიტალური აღწერა.

ამ მხრით მუშაობა მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში გაიშალა.

ჩვენი დიდი პოეტის, ვაჟა-ფშაველას „ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე" არ არის ჩვეულებრივი ბიოგრაფია, — ცხოვრების სრული აღწერა, ფაქტებითა და მასალებით დასურათხატებული. ის არც მასალების კრებულია ბიოგრაფიისათვის, არამედ პოეტის დაბადებიდან გარდაცვალებამდე (1861-1915) გავლილი გზის შესანიშნავი თარიღების ნუსხაა.

შრომა სამი ნაწილისაგან შესდგება: 1. ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე (თარიღები), 2. ბიბლიოგრაფია და 3. დოკუმენტები და მასალები.

პირველ ნაწილში წარმოდგენილია ყველა მნიშვნელოვანი ნაბიჯი და მომენტი პოეტის ცხოვრებაში — თუ რომელ წელს, თვესა და დღეს სად იყო პოეტი, რა ლექსი, მოთხრობა ან სტატია დასწერა, სად გამოაქვეყნა და რა ფსევდონიმით.

საყურადღებოა ამ თავში აგრეთვე მგოსნის გენეალოგიის გამორკვევა, დაწყებული გვარის ფუძემდებელ რაზიკადან (რაზიკა — ქუმსი — იმედა — ბერო — გივი — პავლე — ლუკა — იგივე ვაჟა) ვაჟა-ფშაველამდე.

ბიბლიოგრაფია შეიცავს ვაჟას ნაწერებს (ალფაბეტზე), გამოცემებს, უცხო ენებზე თარგმანებს, იკონოგრაფიას (მკვლევარს შეუგროვებია პოეტის 50-მდე სურათი და ნახატი), ვაჟას არქივს (მიწერ-მოწერა, ხელნაწერები და სხვ.), როდის რა დაიწერა ვაჟა-ფშაველაზე და ავტორთა საძიებელს. მთელი ეს განყოფილება შედგენილია კეთილსინდისიერად და საქმის სიყვარულითა და გულისხმიერებით. აქვეა გახსნილი ვაჟას უმთავრესი ფსევდონიმებიც.

მესამე განყოფილება გამდიდრებულია გამოუქვეყნებელი საინტერესო მასალებით, როგორიც არის: ვაჟა-ფშაველას მოხსენება „ქართველთა შორის წ.-კ. გამ. საზოგადოების" გამგეობის სხდომაზე, ავტობიოგრაფიული წერილის ნაწყვეტი, გაზ. „ივერია" ვაჟას შესახებ, ვაჟას მამასახლისად არჩევის ამბავი, ილია ჭავჭავაძე ვაჟას შესახებ, ვაჟას მამის პავლე რაზიკაშვილის დარიგებანი, თედო რაზიკაშვილის (ვაჟას ძმის) — შესანიშნავი მგოსნისა და საბავშვო მწერლის, — ავტობიოგრაფია, ვაჟას წერილები და სხვ.

საერთოდ წიგნის აპარატურა იმდენად მოთიქრებულია, შეწყობილი და თანმიმდევრულად გამართული, რომ იპყრობს მკითხველს.

წიგნი გაფორმებულია ლამაზად, დართული აქვს 14-მდე მაღალხარისხოვნად შესრულებული ილუსტრაცია მგოსნის ცხოვრებიდან, შეიცავს 280 გვ., ჩასმულია კარგ ყდაში და ღირს 18 მანეთი.

სოლ. ცაიშვილი

მოკლე ფილოსოფიური ლექსიკონი

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებულმა პოლიტგამომცემლობამ რუსულ ენაზე, მ. როზენტალისა და პ. იუდინის რედაქციით მეორედ, შევსებული სახით გამოსცა „მოკლე ფილოსოფიური ლექსიკონი". აღნიშნული ლექსიკონი წარმოადგენს 1939 წელს გამოცემული „მოკლე ფილოსოფიური ლექსიკონის" გადამუშავებულ და მნიშვნელოვნად შევსებულ გამოცემას. მასში პირველ გამოცემასთან შედარებით ფართოდ არის მოცემული წერილები, გადიდებულია ფილოსოფიური ცნებებისა და ტერმინების რაოდენობა. ახალ ლექსიკონში მოცემულია აგრეთვე ფილოსოფიის კლასიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწარმოებების დახასიათება.

რადგან ამ ფილოსოფიურ ლექსიკონს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია მათთვის, ვინც სწავლობს ბოლშევიკური პარტიის თეორიულ საფუძვლებს — მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას, — სასურველია ის გამოიცეს ქართულად რაც შეიძლება დაჩქარებით.

ბროშურა „ოსანა აივაზაშვილი"

მახარაძე, (საქინფორმი). მახარაძის რაიონულ გაზეთ „ლენინის დროშის" რედაქციამ გამოსცა აგრონომ გრიგოლ ნემსაძის ბროშურა — „ოსანა აივაზაშვილი". ბროშურაში ფართოდ არის გაშუქებული სოფ. ქისტაურის (თელავის რაიონი) ცნობილი მეაბრეშუმე ქალის, ოსანა აივაზაშვილის აბრეშუმის ქიის გამოკვების მეთოდი, რომლის საშუალებითაც მან ოთხჯერ ერთიორად შეამცირა ჭიის გამოკვების პერიოდი და პარკის მოსავლიანობის მნიშვნელოვან ზრდას მიაღწია.

ბროშურა დიდ სამსახურს გაუწევს მეაბრეშუმეებს აბრეშუმის ჭიის მოვლაპატრონობის საქმის გაუმჯობესებაში და მეაბრეშუმეობის შემდგომ განვითარებაში.

„საქართველოს სამხედრო გზა თბილისიდან ორჯონიკიძემდე"

საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოება გამოსცემს ი. ა. ბრძევანიძის მიერ შედგენილ საინტერესო გზის მაჩვენებელს სახელწოდებით „საქართველოს სამხედრო გზა თბილისიდან ორჯონიკიძემდე". ამ გზის მაჩვენებელში აწერილია საქართველოს სამხედრო გზა, აქ არის ბუნებაც, ისტორიაც, ეთნოგრაფიაც.

სხვა გზის მაჩვენებლებისაგან განსხვავებით, ღირსშესანიშნავი ადგილებისა და ბუნების აღწერა და ეთნოგრაფიული და ისტორიული ცნობები იწყება თბილისიდან, რომელსაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი. შემდეგ მიდის მცხეთის, არმაზისა და სამთავროს აღწერა, სადაც უძველესი ნეკროპოლის გათხრა მიმდინარეობს.

200-გვერდიან ამ გზის მაჩვენებელში მოთავსებული იქნება 40 ფოტოილუსტრაცია. (საქინფორმი).

კოლონიური ინდოეთის ეკონომიური და პოლიტიკური მიმოხილვა

ინგლისის ყველაზე დიდი კოლონია აზიაში არის ინდოეთი, სადაც 360 მილიონამდე მცხოვრებია. 1858 წელს ინგლისმა განდევნა ინდოეთიდან საფრანგეთი და ეს უდიდესი ქვეყანა თავის კოლონიად გაიხადა. ინდოეთის სატახტო ქალაქია დელი, რომელიც ინგლისის ადმინისტრაციული ცენტრიცაა ინდოეთში. ცნობილი დიდი ქალაქებია: ბომბეი, კალკუტა, მადრასი და სხვ. ინდოეთში გაბატონებული სარწმუნოება ინდუიზმია.

ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნება ინდოეთში ინდოელებია. შემდეგ ბენგალელები, დრავიდები და სხვ. ცხოვრობენ აგრეთვე თურქები, ირანელები და სხვ. ეროვნული შემადგენლობით ინდოეთი მეტად მრავალფეროვანია. საკმარისია ითქვას, რომ იქ 800 სხვადასხვა წარმოშობის ხალხი ცხოვრობს, რომლებსაც 200 სალაპარაკო ენა აქვთ.

ინგლისის იმპერიალისტები შეგნებულად ცდილობენ ხელი შეუშალონ ინდოეთში საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობის განვითარებას, მაგრამ ინგლისი მისი სურვილის წინააღმდეგ მაინც იძულებულია აქ გაიყვანოს რკინიგზები, ხელი შეუწყოს საწარმოო საშუალებების განვითარებას, რათა დაამუშაოს ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრენი. ინდოეთი ინგლისს ესაჭიროება არა მარტო როგორც მდიდარი ნედლეულის და იაფი მუშახელის მქონე ქვეყანა, არამედ როგორც თავისი პროდუქციის გამსაღებელი ბაზარიც.

ინდოეთში მრეწველობის განვითარებასთან ერთად წარმოიშვა, იზრდება და მტკიცდება თანამედროვე პროლეტარიატი. მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთი აგრარული ქვეყანაა (მოსახლეობის 69 პროცენტი სოფლის მეურნეობას მისდევს), სადაც ძირითადად გაბატონებულია ფეოდალური წარმოების წესი, ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ინდოეთი ითვლება მე-3 ტიპის კოლონიურ ქვეყნად. იქ მეტად თუ ნაკლებად განვითარებულია კაპიტალისტური წარმოების წესი და მეტად თუ ნაკლებად არის მრავალრიცხოვანი ნაციონალური პროლეტარიატი.

ინდოეთი მეტად მდიდარი ქვეყანაა. მსოფლიო მეურნეობაში მას უდიდესი ხვედრითი წონა აქვს. მას ჯუტის, ჩაის, ბრინჯის, შაქრის ლერწმის, კუნჟუტისა და მიწის თხილის წარმოების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. გარდა ამისა, ის ბამბის, მარგანეცის, ხორბლის მნიშვნელოვანი მწარმოებელია. ინდოეთში აგრეთვე არის ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ნავთის, კალის, კაუჩუკის, ხე-ტყის, აბრეშუმის წარმოება და სხვ.

ინდოეთი ორ ნაწილად იყოფა: ბრიტანეთის ინდოეთი და საკუთრივ ინდოეთი, რომელსაც ფორმალურად განაგებენ ადგილობრივი მთავრები. სინამდვილეში კი საკუთრივ ინდოეთიც ინგლისის იმპერიალისტების ხელშია. ინდოეთის მიწების ორი მესამედი ინგლისს ეკუთვნის, დანარჩენი კი — ადგილობრივ თავადაზნაურებსა და მემამულეებს. გლეხთა ფართო მასებს სრულიად არ აქვთ მიწა, და ისინი იძულებული არიან აიღონ მიწები მემამულეებისაგან იჯარით უაღრესად მძიმე პირობებში. გლეხები უმიწოწყლობის გამო სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიან როგორც ინგლისელებისაგან, ისე ადგილობრივი მემამულეებისაგან (ანუ ზამინდარებისაგან). ინდოეთში გლეხები მიწის იჯარის გადასახადს გარდა, რაშიაც შემოსავლის 60 პროცენტს იხდიან, ვალდებული არიან გადაიხადონ მრავალი სახის გადასახადი. ქორწინების დროსაც კი გადასახადს იხდიან.

ინდოეთის ფაბრიკა-ქარხნებში, რკინიგზაზე და პლანტაციებში სულ 5 მილიონი მუშა მუშაობს — სამუშაო დღე 14-16 საათით განისაზღვრება. მუშებს აქვთ მათხოვრული ხელფასი, მათთვის არ არსებობს გამოსასვლელი დღეები, შეღავათები და სხვ. ინდოეთში ძალიან დიდია უმუშევართა რიცხვი, ამჟამად იგი 40 მილიონს აღემატება.

მშრომელთა აუტანელი საარსებო პირობებისა და ხშირი ეპიდემიების შედეგად, სიკვდილიანობის მხრივ ინდოეთი ყველა ქვეყანაზე წინ დგას. მშრომელთა ჩაგრული ფენების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ძალიან ხშირად არ აღემატება 23-24 წელიწადს.

ინდოეთს განაგებს ინგლისის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორი (მეფის ნაცვალი), მაგრამ არსებობს აგრეთვე პარლამენტი ცენტრალური საკანონმდებლო კორპუსის სახელწოდებით,

რომელიც შესდგება ორი პალატისაგან: სახელმწიფო საბჭოსა და საკანონმდებლო კრებისაგან; პარლამენტს ფაქტიურად არავითარი პოლიტიკური უფლებები არა აქვს. პარლამენტის არცერთ წევრს გენერალ-გუბერნატორის ნებართვის გარეშე არ შეუძლია შეიტანოს პარლამენტში რაიმე წინადადება კანონპროექტის შესახებ. საარჩევნო უფლებები ინდოეთში შეზღუდულია მაღალი ქონებრივი და განათლების ცენზით. ამის გამო ინდოეთის მოსახლეობის მხოლოდ 10-12 პროცენტი თუ იღებს მონაწილეობას არჩევნებში.

ცხოვრების მეტად მძიმე და აუტანელი პირობების გამო ადგილი ჰქონდა გლეხების მთელ რიგ სტიქიურ აჯანყებებს. განსაკუთრებით უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ფართოდ გაიშალა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობს სრულიად-ინდოეთის ნაციონალური კონგრესი. ნაციონალური კონგრესი ჩამოყალიბდა 1885 წელს. (კონგრესის ცნობილი ხელმძღვანელებია: ნერუ, განდი, პრასადი და სხვ.)

ნაციონალური კონგრესი პირველ ხანებში იცავდა მხოლოდ მემამულეებისა და ბურჟუაზიული კლასის ინტერესებს, რომლებიც მაშინ ცდილობდნენ კოლონიური რეჟიმის პირობებში განემტკიცებინათ თავიანთი ეკონომიური მდგომარეობა და პოლიტიკური უფლებები. მაგრამ მას შემდეგ, რაც ინგლისის იმპერიალისტებმა რამდენიმე შეზღუდეს თვით ინდოეთის მეძლებულ კლასთა ინტერესები, ისინიც ჩაგრულ კლასებთან ერთად გამოდიან ბრძოლის ასპარეზზე.

თუ პირველ ხანებში ნაციონალური კონგრესის შემადგენლობაში შედიოდნენ მხოლოდ მემამულეებისა და ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენლები, ამჟამად კონგრესი აერთიანებს 4 მილიონზე მეტ წევრს, რომელთა 80 პროცენტი მუშებისა და გლეხების წარმომადგენლებია. ამრიგად, იზრდება და მტკიცდება კონგრესის მემარცხენე ფრთა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

ინდოეთის კომუნისტური პარტია ჩამოყალიბდა 1933 წელს. ინდოეთში კომპარტიის შექმნამდე არსებობდა მთელი რიგი ცალკე კომუნისტური ჯგუფები. ასე, მაგალითად, 1925 წელს ბენგალში წარმოიშვა კომუნისტური ჯგუფი „სვარაჯისტ მუშათა პარტიის" სახელწოდებით, რომელმაც 1927 წელს მიიღო მუშათა და გლეხთა პარტიის სახელწოდება. ეს პარტიული ჯგუფი ბენგალურ ენაზე სცემდა ყოველკვირეულ ორგანოს „ლანგალს" (სახნისი), შემდეგ კი „განავანის" (ხალხის ხმა). 1927 წელს ბომბეიში არსდება აგრეთვე მუშათა და გლეხთა კომუნისტური ჯგუფი, რომელიც უშვებდა თავის ორგანოს — ჯერ „სპარკსის" (ნაპერწკალი), შემდეგ კი „კრანტის" (რევოლუცია); მაგრამ იმის გამო, რომ ბრიტანეთის იმპერიალისტები სდევნიდნენ კომუნისტურ ჯგუფებს და მათ ხელმძღვანელებს, 1933 წლამდე არ ხერხდებოდა ერთიანი ცენტრალიზებული კომუნისტური პარტიის შექმნა. ამჟამად ინდოეთის კომპარტია მედგრად იბრძვის მუშაობის ლეგალურ პირობებზე გადასვლისათვის, რასაც ფართოდ უჭერენ მხარს ინდოეთის მშრომელთა მასები. უკანასკნელ წლებში ინდოეთის კომპარტიამ თითქმის ყველა პროვინციაში შექმნა პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ინდოეთის ახალგაზრდა კომუნისტური პარტია მშრომელ მასებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ კოლონიური ქვეყნების ისტორიაში, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, შექმნა ახალი კოლონიური რევოლუციების ერა. კოლონიებში მილიონობით ადამიანები, სასტიკი ჩაგვრა-ექსპლოატაციით გაწამებულნი, საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლნი გახდნენ.

ინდოეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობით შეშინებული ინგლისი 1919 წელს ატარებს „რეფორმას", რომელიც ცნობილია მონტეგიუ ჩელმსფორდის კონსტიტუციის სახელწოდებით. ამ კონსტიტუციის ძალით პარლამენტში შედარებით გადიდებულ იქნა ინდოელების რიცხვი, მაგრამ დაწესდა ძალიან დიდი ქონებრივი და განათლების ცენზი არჩევნებში მონაწილეობისათვის.

ამ ბოლო წლების განმავლობაში მეტად ფართო ხასიათს ღებულობს გლეხთა აჯანყებები. გაიზარდა და განმტკიცდა ინდოეთის გლეხთა კავშირი „კისან საბჰა", რომელიც 1,5 მილიონ წევრს აერთიანებს.

ინდოეთის მუშათა და გლეხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთ შესანიშნავ მომენტად ჩაითვლება ის, რომ 1938 წელს მოხდა პროფკავშირების გაერთიანება. ნაცვლად წინათ არსებული პროფკავშირების ორი ცენტრისა, პროფკავშირთა ინდოეთის კონგრესისა და პროფკავშირთა ნაციონალური ფედერაციისა, შეიქმნა პროფკავშირების ერთი ცენტრი, სრულიად-ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესი.

ინდოეთის ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი თვალსაჩინო მოღვაწეა ტილაკი. რუსეთის 1905 წლის რევოლუციის ზეგავლენით ტილაკს სურდა ინდოეთში რესპუბლიკური წყობილების დამყარება. საჭიროა სამშობლოს განთავისუფლება, რომელიც ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ, — მოუწოდებდა ტილაკი ინდოეთის ჩაგრულ ხალხს. რუსეთის 1905 წლის რევოლუციის ზეგავლენით ინდოეთის ხალხის ბრძოლა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის კიდევ უფრო გაიზარდა. 1905-1906 წლებში ჩატარდა მრავალი მიტინგი, გაფიცვები და დემონსტრაციები.

1919-1922 წლებში ინდოეთის პროლეტარიატმა და გლეხობამ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა კიდევ უფრო მაღლა აღმართეს. მარტო ბენგალში 1919-1920 წლებში ჩატარდა 150 გაფიცვა და დემონსტრაცია.

მეორე იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებით, ინგლისმა ინდოეთი „ავტომატურად" გამოაცხადა მეომარ ქვეყნად გერმანიის წინააღმდეგ, როგორც ინგლისის „შემადგენელი" ნაწილი. ინგლისმა ომის დასაწყისში ინდოეთიდან გამოყვანილი არმია გაეგზავნა სუეცში, ადენსა და სინგაპურში. ინგლისის ამ დიდ მორიგ თავხედობასთან დაკავშირებით ინდოეთის ნაციონალური კონგრესის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც ინდოეთის ხალხის სახელით სასტიკად დაგმობილია ინდოეთის „ავტომატურად" მეომარ ქვეყნად გამოცხადება. ნაციონალური კონგრესის აღნიშნული დეკლარაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ინდოეთის მეფისნაცვალი ლინლიტგოუ ინგლისის დავალებით დაპირდა ინდოეთის ხალხს, რომ ომის დამთავრების შემდეგ „მოეთათბირება" ინდოეთის პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს ინდოეთის ხალხის „საკეთილდღეოდ". ლინლიტგოუ დაპირდა ხალხს, რომ ომის დამთავრების შემდეგ ინდოეთს მიეცემა „კონსტიტუცია", იგი გამოცხადებულ იქნება დომინიონად (ე. ი. თვითმმართველ კოლონიად) იმ პირობით, რომ ინგლისი ინდოეთს მხოლოდ „დაიცავს" 30 წლის განმავლობაში გარეშე მტრებისაგან და სხვ. მსგავსი დაპირებებით ინგლისის იმპერიალისტები პირველი იმპერიალისტური ომის დროსაც ჰკვებავდნენ ინდოეთის ხალხს.

ამჟამად ინდოეთში ნაციონალური კონგრესის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს სამოქალაქო ურჩობის კამპანია, რომლის მიზანია ომის საწინააღმდეგო გამოსვლების მოწყობა.

ამ კამპანიის ჩატარების გამო დაპატიმრებული არიან ნაციონალური კონგრესის მთელი რიგი წევრები, მათ შორის ნაციონალური კონგრესის ყოფილი თავმჯდომარე, კონგრესის მემარცხენე ფრთის ბელადი ნერუ და ნაციონალური კონგრესის თავმჯდომარე კალამაზადი. ინდოეთის ხალხი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისათვის. ამ ბოლო დროს ინდოეთის საწარმოებში ხშირდება მუშათა გაფიცვები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ ათეულ ათასობით მუშები.

არც ისე შორსაა ის დღე, როცა ინდოეთის ხალხი თავიდან მოიშორებს ინგლისის იმპერიალისტებს, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე იგი მონობაში ჰყავთ.

მ. რამიშვილი

კონგრესის სესიის გახსნა ა. შ. შტატებში

ვაშინგტონი, 4 იანვარი (საკდესი). 3 იანვარს გაიხსნა ამერიკის ახალი მოწვევის კონგრესის სესია. წარმომადგენელთა პალატამ თავის თავმჯდომარედ ხელახლად აირჩია ტეხასის შტატის დემოკრატი დეპუტატი რეიბერნი. სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმალობის შესრულების შემდეგ წარმომადგენელთა პალატასა და სენატის სხდომები 6 იანვრამდე გადაიდო, ამ დღეს რუზველტი პირადად მიმართავს მოწოდებით კონგრესს.

წარმომადგენელთა ახალ პალატაში შედის 268 დემოკრატი, 162 რესპუბლიკელი, 3 პროგრესისტი, ამერიკული მუშათა პარტიის ერთი წევრი და ფერმერ მუშათა პარტიის ერთი წევრი. სენატში ამჟამად შედის 66 დემოკრატი, 28 რესპუბლიკელი, ერთი პროგრესისტი და ერთი დამოუკიდებელი სენატორი.

ა. შ. შტატების შეიარაღებულ ძალთა რაოდენობა

ნიუ-იორკი, 5 იანვარი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს ცნობებით, ამერიკის რეგულარულ არმიასა და ნაციონალურ გვარდიაში ამჟამად ირიცხება 608.000 კაცი, მაშინ როდესაც შარშან იანვარში ნაციონალური გვარდიის მობილიზაციამდე 250.000 კაცი იყო. საზღვაო ფლოტისა და საზღვაო ქვეითი ჯარის პირადი შემადგენლობა მალე 250.000 კაცს მიაღწევს.

ნიუ-იორკი, 5 იანვარი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ოფიციალური ცნობებით, 1940 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში აგებულ იქნა 205 ახალი აეროდრომი და ბაზები ჰიდროთვითმფრინავებისათვის. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში 2.656 აეროდრომია.

გაფიცვა ა. შ. შტატებში

ნიუ-იორკი, 5 იანვარი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის" ცნობით, კომპანია „ბაბკოკ ენდ ვილკოკსის" ქარხნის (ნიუ-ჯერსის შტატი) 450 მუშამ გაფიცვა გამოაცხადა. გაფიცვის შედეგად შესწყდა შესრულება დაკვეთებისა ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის ქვაბების დასამზადებლად. გაფიცული მუშები — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის წევრები — მოითხოვენ მათ პროფკავშირებთან კოლექტიური ხელშეკრულებათა დადებას.

კონგრესის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საწარმოო პროფკავშირთა კონგრესი ცდილობს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას ნიუ-ჯერსის შტატის სხვა საწარმოებშიაც, რომელნიც სამხედრო დაკვეთებს ასრულებენ.

რანგელი — ფინეთის პრემიერ-მინისტრი

ჰელსინკი, 4 იანვარი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან ფინეთის ახალი კაბინეტის შედგენის შესახებ. პრემიერ-მინისტრად დანიშნულია პროგრესიული პარტიის წევრი იოჰან რანგელი. კაბინეტის შემადგენლობა წინანდელი დარჩა, გარდა გზათა მინისტრისა და მიწათმოქმედების მეორე მინისტრისა. გზათა ახალ მინისტრად დაინიშნა ვილჰო ანალა („პატრიოტული სახალხო მოძრაობის" პარტიის წევრი), მიწათმოქმედების ახალ მეორე მინისტრად — ტოივო იკონერა (აგრარული პარტიის წევრი).

O

იოჰან რანგელი დაიბადა 1894 წელს. იგი განათლებით ადვოკატია. რიუტისთან ერთად რანგელი მეთაურობდა ფინეთის სახელმწიფო ბანკს. პრემიერ-მინისტრად დანიშვნამდე რანგელს ფინეთის სახელმწიფო ბანკის დირექტორის პოსტი ეკავა.

ხორცის ნაკლებობა ინგლისში

ლონდონი, 4 იანვარი (საკდესი). ლონდონში ხორცის მწვავე ნაკლებობაა. გუშინ ბევრი ხორცის მაღაზია დაიხურა. დარჩენილ მაღაზიებს ხორცი მხოლოდ ნახევარი საათით ეყოთ. ხორცის ნაკლებობა სატრანსპორტო დაბრკოლებებით და მარაგის შემცირებით აიხსნება.

გუშინ სესექსის საგრაფოს 230 ხორცის მაღაზიაში მყიდველებს განუცხადეს, რომ თითო კუპონზე მათ შეუძლიათ მიიღონ 12 პენსის ხორცი, მაშინ როდესაც კუპონზე გასაცემი ხორცის ღირებულება 20 პენსს შეადგენს.

ხორცის გაცემის ნორმების მომავალ შემცირებასთან დაკავშირებით სასურსათო მომარაგების მინისტრმა ვულტონმა განაცხადა, ინგლისის ხორცით მომარაგების სიძნელე სახელმწიფოს საომარ ღონისძიებათა შედეგიაო. „არმიის მოთხოვნილება, — სთქვა ვულტონმა, — გვაიძულებს უარი ვთქვათ ზოგიერთი გემის გამოყენებაზე, რომლებიც ხორცს ეზიდებოდნენ. ჩვენ ვამცირებთ ხორცის შემოზიდვას, რათა გავადიდოთ საჭურველის გაზიდვა ახლო აღმოსავლეთში".

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში. ხუბეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში 29 დეკემბერს ჩინეთის ჯარმა იერიში მიიტანა ქალაქ ძუნიანზე და იაპონიის ჯარზე ტუნჩენის მახლობლად.

იაპონიის სამხედრო გემი, რომელიც მდინარე იანძით მიდიოდა დუნლიუს მახლობლად (ანხუეის პროვინცია), 29 დეკემბერს ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა ეკიპაჟითა და საომარი მასალითურთ.

ჩრდილოეთ ჩინეთში. შანსის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მაოძინდუს სექტორში, იაპონელებს უკანასკნელ ბრძოლებში რამდენიმე ასეული კაცი მოუკლეს და დაუჭრეს.

სამხრეთ ჩინეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობები არ არის.

O

2 იანვარს იაპონიის ავიაციამ კუნმინში (იუნანის პროვინცია) ყუმბარები დაუშინა აეროდრომსა და ელექტროსადგურს.

4 იანვარი (საკდესი).

ქ. ფოთის სახელმწიფო თეატრი.
ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

კუნინგჰემის კომეტა

გასული წლის 5 სექტემბერს კუნინგჰემმა ამერიკაში აღმოაჩინა ახალი კომეტა, რომელიც სწრაფად უახლოვდება მზესა და დედამიწას, რასთან დაკავშირებითაც სწრაფად მატულობს მისი ხილული სიკაშკაშე.

ნოემბრის დამლევს კომეტა სუსტ ტელესკოპურ ობიექტს წარმოადგენდა, ამჟამად კი მისი გული უბრალო, შეუიარაღებელი თვალითაც მოჩანს, ხოლო კარგი მხედველობის ადამიანს შეუძლია კომეტის კუდის მოხაზულობაც გაარჩიოს.

როგორც ცნობილია, კომეტა თავისებურ კოსმიურ სხეულს წარმოადგენს, რომელსაც ძალიან მცირე მასა, მაგრამ უზარმაზარი მოცულობა ახასიათებს. მისი ფორმა, რომელიც გულისა და კუდისაგან შესდგება, სწრაფად საცვლელობს განსაკუთრებით მზესთან მიახლოებისას. კომეტები შემოიჭრებიან ხოლმე მზე-დედამიწის მახლობელ არეში ვარსკვლავთშორისი სივრციდან, მოისწრაფვიან რა მზისაკენ დიდი სიჩქარით (მზის ახლოს ეს სიჩქარე 500 კილომეტრს აღწევს სეკუნდში), შემოუვლიან მზეს და კვლავ მიილტვიან შორეულ სივრცეში.

კუნინგჰემის კომეტაც ასეთივე შორიდან მოსული ობიექტია. უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში მან 115 მილიონი კილომეტრი გამოიარა და დღეს მანძილი ჩვენსა და მის შუა სულ 90 მილიონ კილომეტრს აღწევს. გასული დეკემბრის დასაწყისში მზე, დედამიწა და ეს კომეტა ისე იყვნენ განლაგებულნი, რომ ერთ თანასწორგვერდიან სამკუთხედს შეადგენდნენ. დღეს კომეტა მოქცეულია თითქმის ჩვენსა და მზის შორის და მზესთან უფრო ახლოა (60 მილიონი კილომეტრი) ვიდრე ჩვენთან.

ამჟამად კომეტა მოჩანს დასავლეთით, ჰორიზონტის ახლო, საღამოობით მზის ჩასვლის შემდეგ. სავსე ან უბრალო სათეატრო დურბინდის საშუალებით ადვილად ხერხდება მისი მონახვა ცაზე კაშკაშა ვარსკვლავის ალტაირის მახლობლად, არწივის თანავარსკვლავედში. 1 იანვარს იგი სულ ორი გრადუსით იყო დაშორებული სამხრეთით ალტაირიდან, 6 იანვარს ეს დაშორება 10 გრადუს აღწევდა. კომეტის კუდი ჰორიზონტიდან „ზემოთ" არის მიმართული. კომეტა ჩადის საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით. ასე, რომ მისი დაკვირვების დაწყება საჭიროა რაც შეიძლება ადრე, როგორც კი ჩამოღამდება მზის ჩასვლის შემდეგ.

კომეტების გამოჩენა ხშირი მოვლენაა. ცნობილი კომეტების რიცხვი ძალიან დიდია, ყოველწლიურად ახალი კომეტების აღმოჩენა ხდება. მარტო გასულ წელს, მაგალითად, აღმოჩენილი იყო 4 ახალი კომეტა. როცა სახელოვან კეპლერს ჰკითხეს რამდენი კომეტა არის ცაშიო, მან სამართლიანად უპასუხა: „იმდენი, რამდენიც თევზია ოკეანეშიო". მაგრამ, შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ისეთი კაშკაშა კომეტები, რომელნიც უბრალო თვალით მოსჩანან. ამიტომ მოსახლეობამ უნდა ისარგებლოს ამ შემთხვევით და დააკვირდეს კუნინგჰემის კომეტას.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია ამჟამად კუნინგჰემის კომეტის ფოტოგრაფიულ და ფოტომეტრიულ დაკვირვებებს აწარმოებს. ასეთი დაკვირვების შედეგები მოგვაწვდის ცნობებს კომეტის კუდის ფორმის საცვლელობისა და მისი ზოგიერთი ფიზიკური თვისებების შესახებ. ამ დაკვირვებას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მოსკოვისა და ლენინგრადის ობსერვატორიები უამინდობის გამო 5 დეკემბრიდან მოკლებული არიან საშუალებას დააკვირდნენ მას, ამიტომ მოსკოვის სახ. ასტრონომიულ ინსტიტუტთან არსებულმა კომეტების შემსწავლელმა ცენტრალურმა კომისიამ მიმართა თხოვნით აბასთუმნის ობსერვატორიას განაგრძოთ ეს დაკვირვებანი.

აბასთუმნის ობსერვატორიამ მიიღო მოსახლეობისაგან რამდენიმე შეკითხვა იმის შესახებ, იქონიებს თუ არა კომეტის მოახლოება რაიმე გავლენას დედამიწაზე. ვსარგებლობთ შემთხვევით განვმარტოთ, რომ არავითარ გავლენას დედამიწაზე კომეტის მოახლოება არ მოახდენს და კომეტის გზის უახლოესი წერტილი დედამიწისაგან მაინც საკმაოდ დაშორებულია ჩვენგან, მაგრამ კომეტამ სულ ახლოც რომ ჩაიაროს დედამიწას, იგი მაინც არ იქონიებს რაიმე გავლენას მისი უმნიშვნელო მასის და მეტად მცირე სიმკვრივის გამო.

ევგენი ხარაძე
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი.

თეატრალური თვითმოქმედების დათვალიერების წინ

15 იანვრიდან იწყება თეატრალური თვითმოქმედების დათვალიერება. დათვალიერების პირველი ტური მოეწყობა 15 იანვრიდან 1 თებერვლამდე თეატრალური კოლექტივების მუშაობის ადგილებზე, ხოლო მეორე ტური — რაიონულ და ქალაქის ცენტრებში, 1 თებერვლიდან 1 მარტამდე.

დათვალიერების სახელმძღვანელოდ შექმნილია რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც შედიან: ამხ. გ. კოკელაძე (თავმჯდომარე), შ. კილოსანიძე (ხელოვნების საქმეთა რესპუბლიკური სამმართველო), გ. იმნაიშვილი (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი), ი. გვინჩიძე (ხელოვნების მუშაკთა კავშირი), ვ. სიხარულიძე, ა. გაბისონია (განსახკომი), გ. კაშიერი (სარეწაო საბჭო), შ. გაბისკირია (ხალხური შემოქმედების სახლი) და სხვ.

საუკეთესო შემოქმედებითი კოლექტივები, რომელნიც თავს გამოიჩენენ ადგილობრივი დათვალიერების დროს, მონაწილეობას მიიღებენ რაიონულ ან საქალაქო დათვალიერებაში.

დათვალიერების მზადებასთან დაკავშირებით ადგილებზე მოეწყო თეატრალური თვითმოქმედი კოლექტივების აღრიცხვა. თელავის რაიონში მუშაობს 6 კოლექტივი, გურჯაანისაში — 10, ლანჩხუთისაში — 8, სამტრედიისაში — 10, ყვარლის რაიონში — 6, ჭიათურისაში — 6, წალენჯიხისაში — 9, ხობისაში — 9, ჩოხატაურისაში — 3, ქუთაისისაში — 10, ახალციხისაში — 6, გორის რაიონში — 9, ხაშურისაში — 10 და ქალაქ ქუთაისში — 6 და სხვ. (საქდესი).

ახალი წიგნი
კედლის გაზეთების რედაქტორთა და მუშსოფლკორთა კურსების მსმენელებისათვის

გაზ. „კომუნისტის" რედაქციამ ჟურნალ „ბოლშევისტსკაია პეჩატიდან" მიიღო და ქართულ ენაზე გამოსცა მ. ფუტორიანსკის ბროშურა „როგორ ვასწოროთ წერილები".

ბროშურა, რომელიც მეთოდურ წერილთან ერთად უკვე დაეგზავნა რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქციებს, განკუთვნილია კედლის გაზეთების რედაქტორთა და მუშსოფლკორთა მასობრივი სწავლების ერთწლიანი კურსების მსმენელთათვის.

„უნივერსიტეტის შრომები"

დაიბეჭდა და გამოვიდა „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები", ტ. XVI. მასში მოთავსებულია შემდეგი სტატიები: ს. კაფტარაძე — უმაღლესი სკოლის მორიგი ამოცანების შესახებ; И. Меликадзе — Большевики Закавказья в борьбе за проведение ленинско-сталинской национальной политики; ი. ტალახაძე — ბურჟუაზიული ანუ პარლამენტარული დემოკრატიის არსი; გრ. ნათაძე — სასოფლო მეურნეობის ორგანიზაცია და ტექნიკა ძველ გერმანიაში; კ. კეკელიძე — ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისა; ლ. მელიქსეთ-ბეგი — ნ. მარი და მატერიალური კულტურის ისტორია; პ. გუგუშვილი — საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერ-კავკასიაში.

ზამთარი საქართველოს რაიონებში

სოხუმი, 6 იანვარი (საქდესი). აფხაზეთის მაღალმთიან რაიონებში დიდი თოვლი მოვიდა. დოუს უღელტეხილზე დიდი თოვლი მოდის. უღელტეხილი დახურულია.

გაცხოველებით მიმდინარეობს მხეცებზე ნადირობა. 40-მდე ფსხუელი კოლმეურნე-მონადირე ქვერნის დასაჭერად გავიდა. მიმდინარე წელს ფსხუელი კოლმეურნეები სახელმწიფოს ჩააბარებენ რამდენიმე ათასი მანეთის ძვირფას ბეწვეულს, უმთავრესად კვერნის, წავისა და მგლის ტყავს. ფსხუელმა კოლმეურნემ ივანე კოზლოვსკიმ ამ დღეებში უკვე ჩააბარა აფხაზეთის მონადირეთა კავშირს პირველი პარტია — 14 მოკლული კვერნა, რაშიაც 1.300 მანეთი მიიღო.

სოხუმი, 6 იანვარი (საქდესი). აფხაზეთის მონადირეთა კავშირმა ამ დღეებში ბაკურიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობიდან მიიღო 36 ჯიხვი. მელიები აფხაზეთის მონადირეთა კავშირის ზოოპარკში გადაიყვანეს მოსამრავლებლად. ამჟამად ზოოპარკში უკვე 42 მელიაა ამ ძვირფასი ჯიშისა. მათი მოშენების მიზანია მიაწოდოს კოლმეურნეობებს ჯიშიანი მასალა აფხაზეთში საკოლმეურნეო მეხილეობის მოსაწყობად.

O

ონი, 6 იანვარი (საქდესი). მეხუთე დღეა, რაც თოვს და წვიმს. ონსა და ქუთაისს შორის სრულიად შესწყდა საავტომობილო მიმოსვლა.

სასამართლო
აფერისტი „ადვოკატი"

როგორც ჩვენი გაზეთის 1940 წლის 27 აგვისტოს ნომერში ვწერდით, აფერისტი „ადვოკატი" ივანე ვლადიმერის-ძე აბაშიძე დიდხნის განმავლობაში აწიოკებდა მშრომელთა მოტყუებას. თითო განცხადების დაწერაში კლიენტებს 200-დან 500 მანეთამდე ახდევინებდა. კანონით კი მას უფლება არ ჰქონდა ხელზე მიეღო ფული და ისიც ხუთმაგი და მეტი რაოდენობით. აბაშიძე ჰპირდებოდა კლიენტებს, რომ დაიხმარებოდა დაპატიმრებულების განთავისუფლებაში, და წინასწარ ახდევინებდა ფულს.

„მე მოსკოვი ხელში მიჭირავს, რასაც მინდა, იმას გავაკეთებ, თქვენ მხოლოდ ფული მომეცით", — ასე უებნებოდა აბაშიძე კლიენტებს საქართველოს რაიონებში მოგზაურობის დროს და ამ ხრიკებით სტყუებდა ფულს გულუბრყვილო კლიენტებს. აფერისტი აბაშიძე უფრო რაიონებს ეტანებოდა. იცოდა, რომ იქიდან მეტი გამოსარჩენი იყო, მას თან დაჰქონდა აბრა წარწერით „ადვოკატი ი. ვ. აბაშიძე". აბაშიძეს ბინის გაჩხრეკისას აღმოუჩინეს აგრეთვე საკუთარი შტამპი და ბეჭედი.

დამთავრდა ი. ვ. აბაშიძის საქმის გამოძიება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია ამხ. ივ. სანთელაძის თავმჯდომარეობით და სახალხო მსაჯულების ს. სტეფანიანის და გ. დარისპანაშვილის შემადგენლობით ოთხ დღეს არჩევდა აფერისტ „ადვოკატის" ი. ვ. აბაშიძის საქმეს.

სასამართლოს პროცესზე აბაშიძემ თავი სცნო დამნაშავედ.

უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ი. ვ. აბაშიძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლით აჰყარა სამოქალაქო უფლებები.

სახელმწიფო ბრალდებას იცავდა პროკურორი ამხ. შ. ბოლქვაძე, საზოგადოებრივ ბრალმდებლად გამოდიოდა დამცველთა კოლეგიის წევრი ამხ. ჯობავა.

მ. სურგულაძე

ახალი პროგრამა თბილისის სახელმწიფო ცირკში

საინტერესოდ და დიდი წარმატებით მიმდინარეობს სეზონი თბილისის სახელმწიფო ცირკში. საცირკო წარმოდგენათა წარმატებას ხელს უწყობს სხვადასხვა საცირკო ჟანრის მსახიობთა მიერ დამუშავებული ნომრების მაღალი მხატვრული ოსტატობით შესრულება და მსახიობთა მთელი კოლექტივის შეხმატკბილებული მუშაობა.

ამჟამად ცირკში უჩვენებენ მიმდინარე სეზონის მორიგ მესამე პროგრამას, რომლის დიდი ნაწილიც დათმობილი აქვს სხვადასხვა ცხოველთა ცნობილ მწვრთნელს სახელოვანი ვლადიმერ დუროვის მემკვიდრეს ცირკის მანეჟზე, — ორდენოსან იური დუროვს. იური დუროვმა უკვე უჩვენა თბილისელებს თავისი პროგრამის პირველი ციკლი. ამჟამად თბილისის მაყურებლების წინაშე იგი გამოდის პროგრამის მეორე ციკლით, თბილისელებისათვის ჯერ უცნობი სანახაობებით, რომელთაც განსაცვიფრებელი ოსტატობით ასრულებენ მის მიერ გაწვრთნილი ოთხფეხი „მსახიობები".

თავისი პროგრამის მეორე ციკლში იური დუროვს შეტანილი აქვს სხვადასხვა კომიკური სცენები (სპილო-პარიკმახერი, მოჯირითე ძაღლები და სხვ.), რომელთაც [illegible] ყურადღების [illegible] თა პარად[illegible] ლიებისა [illegible] ლების, დათვებისა და სხვა ნადირთა გამოყვანა. საინტერესოა აგრეთვე იური დუროვის მიერ საკუთრივ დამუშავებული სცენა — „ბალი", რომლის შესრულებაშიც მონაწილეობას იღებენ სპილო, აქლემი, პონი და სხვა ცხოველები.

სახელმწიფო ცირკის სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი ორდენოსანი ლ. ტანტი ამჟამად ამზადებს პროლოგს მორიგი ახალი საცირკო პროგრამისათვის. ახალი პროგრამის შესრულებაში მონაწილეობას მიიღებენ: ქართული საცირკო ანსამბლი გოლიაძეებისა (ანსამბლში 15 კაცია), ბოშათა ეთნოგრაფიული ანსამბლი 36 კაცის შემადგენლობით (უჩვენებენ ბოშათა ცეკვებს, სიმღერას, სპეციფიკურ საცირკო ნომრებს), ცნობილი მოჯირითეს ალიევის ჯგუფი, ბუფონადური კლოუნადის საუკეთესო წარმომადგენლები უაკი და მორეცი და სხვ.

ახალ, მეოთხე პროგრამას თბილისის სახელმწიფო ცირკში მაყურებელს უჩვენებენ 20 იანვრიდან.

სარეწაო საბჭოს ახალი საწარმოები

ამა წლის დამდეგს ამუშავდება „სარეწაო საბჭოს" (საქართველოს სარეწაო კოოპერაცია) ახალი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც მოწყობილია მოწინავე ტექნიკის მიხედვით.

ორთა ჭალეში მთავრდება სარკის ფაბრიკის მშენებლობა. ეს ფაბრიკა ყოველწლიურად გამოუშვებს ორი მილიონი მანეთის ტუალეტისა და ჯიბის სარკეს, შიფონიერის სარკეს, მაგიდისა და მფარავ საავტომობილო მინას და სხვ. ამჟამად ფაბრიკაში მიმდინარეობს მოწყობილობის მონტაჟი. მალე ამუშავდება ბამბის სართავი ფაბრიკა, რომელიც ყოველწლიურად 380 ტონა ნართს გამოიმუშავებს. უკანასკნელი სამუშაო სრულდება სამსხმელო-მექანიკური ქარხნის ასამუშავებლად. იგი გააკეთებს ნავთის ტარას, ტასტებს და ვედროებს.

შენდება მომინანქრებული ჭურჭლის ქარხანა, მექანიკური ქარხანა, რომელიც დაამზადებს სარეცხ მანქანას, ცენტრიფუგს, თუჯის ღუმელს, ნავთქურას, შურუპს და ლურსმანს (საქდესი).

რადიოგადაცემა დღეს

9.00 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე, ტრანსლაცია მოსკოვიდან; 9.15 — რადიოგადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 9.25 — კონცერტი: პროგრამაშია ჩეხელი კომპოზიტორების სიმფონიური ნაწარმოებები; 10.30 — გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის ციკლიდან — „სკოლის ცხოვრება"; 10.50 — ბოშათა სიმღერების კონცერტი; 11.15 — კონცერტი — ლერმონტოვი რუს კომპოზიტორთა ვოკალურ შემოქმედებაში; 11.30 თბილისის ახალი ამბები ქართულ და რუსულ ენებზე; 12.00 — კონცერტი; პროგრამაშია ნაწყვეტები კომპ. მუსორგსკის ოპერებიდან „ხოვანშჩინა", „სოროჩინის ბაზრობა" და „ბორის გოდუნოვი"; 17.00 — გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის — კონცერტი ჩაიკოვსკის ნაწარმოებებიდან; 17.45 — საომარი თემაზე: „ახალი ცხოვრება განახლებულ მიწაზე"; 18.30 — უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება ქართულ და რუსულ ენებზე; 19.20 — კამერული კონცერტი, პროგრამაშია ნაწარმოებები რუსთაველის, ჰაჰაძის და წერეთლის ტექსტებზე; 20.40 — საქ. რადიოკომიტეტის ეთნოგრაფიული ანსამბლის გამოსვლა ბაბილუას ხელმძღვანელობით, პროგრამაშია — ქართული ხალხური სიმღერები; 21.15 — კონსულტაცია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად — „ბოლშევიკური პარტიის მერვე ყრილობა"; 22.05 — კონცერტი სომხეთის და აზერბაიჯანის მოძმე რესპუბლიკებისათვის, პროგრამაშია ქართული მუსიკა; 00.30 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება, ტრანსლაცია მოსკოვიდან.

ლექციები და მოხსენებები

7 იანვარს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში შესდგება მორიგი ლექცია საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიის ლექციათა ციკლიდან. თემა: **„საერთაშორისო ვითარება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პერიოდში. ბრესტის ზავი. ლენინი და სტალინი სსრკ საგარეო პოლიტიკის შესახებ"**.

ლექციას წაიკითხავს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ამხ. **ზავრიევი**.

შესვლა აბონემენტებით.

გარდაიცვალა უხუცესი მასწავლებელი ლ. ქ. კიასაშვილი

5 იანვარს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გორში გარდაიცვალა 102 წლის მოხუცი მასწავლებელი ლევან ქრისტეფორეს-ძე კიასაშვილი (კიასოვი).

განსვენებული გორის ყოფილ სასულიერო სასწავლებელთან არსებული დაწყებითი სკოლის მასწავლებელი იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში კიასაშვილი მასწავლებლობდა გორის რუსულ სკოლაში. 1928 წლიდან ღრმა მოხუცებულობის გამო მან თავი დაანება მასწავლებლობას და სახელმწიფომ მას პენსია დაუნიშნა. პენსიონერი მასწავლებელი ამხ. კიასაშვილი გორის მშრომელთა საყოველთაო პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა.

გორის რაისაბჭოს აღმასკომმა შექმნა ლევან კიასაშვილის დამკრძალავი კომისია. დაკრძალვის ხარჯები გორის რაისაბჭომ და გორის ქალაქის საბჭომ იკისრეს.

6 იანვარს საღამოს განსვენებული საავადმყოფოდან გადაასვენეს გორის მასწავლებელთა სახლში. დღეს, 7 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ლევან კიასაშვილს გორის ახალ სასაფლაოზე დაკრძალავენ.

ს. ყურაშვილი

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების სხდომის ევგენი ეროფეის-ასულ მაკინას და სიმონ ვასილის-ძე ზვერევს 3 დღის ვადაში გამოცხადდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ამხ. თეალტრელიძესთან, ოთახი № 91.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2852075, გაცემული პანა მიხეილის-ძე ჯოხაძის სახელზე, და პარტსაკანდიდატო ბარათი № 1686274, გაცემული ნიკოლოზ გიორგის-ძე ლოგუას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრში: გრიბოედოვის სახელობის — „კრემლის კურანტები".

კინოებში: რუსთაველის სახ. — „იაკობ სვერდლოვი", **დღისით** — „მშვენიერი ვასილისა", **ოქტომბერი** — „იაკობ სვერდლოვი", **დამკვრელი** — „ციმბირელები", **კომკავშირელი** — „დაგვიანებული საჭმო", **სპარტაკი** — „ციმბირელები", **ლუქსემბურგის სახ.** — „დაბრუნება", **კომინტერნი** — „სამი ამხანაგი", **დღისით** — „რუსლან და ლუდმილა", **26 კომ. სახ.** — „ზანგეზური", **დღისით** — „გმირის ძმა", **განთიადი** — „დაბრუნება". **დღისით** — „აზამატ", **წითელი არმიის სახლი** — „ცირკი", **დღისით** — „ტომ სოიერი", **ვოროშილოვის სახ. კლუბი** — „მუსიკალური ისტორია". **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „იაკობ სვერდლოვი", **ხაზკვების კავშირის კლუბი** — „პატარა დედი", **მეცნიერება და ცოდნა** — „საბჭოთა კინოჟურნალი № 109 და სხვ.", **ბერიას სახელობის კულტურის სახლი** — „ტორჟოკელი თერძი".

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

7 იანვარს
მე-10 აბ. მე-5 წარმ.
ევგენი ონეგინი.

8 იანვარს
მე-9 აბ. მე-5 წარმ.
დაისი

9 იანვარს
მე-11 აბ. მე-5 წარმ.
მთების გული

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

7 იანვარს
სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი

8 იანვარს
მარგარიტა გოტიე

9 იანვარს
ვერაგობა და სიყვარული

დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

დღის წარმოდგენები
9 იანვარს **სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი**
10 იანვარს **ბედნიერება**
დასაწყისი დღის 12 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

7 იანვარს 1 აბ. მე-6 წარმ.	8 იანვარს	9 იანვარს
ღალატი	**გიორგი სააკაძე**	**ბოგდან ხმელნიცკი**

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

რუსთაველის თეატრი აცხადებს თეატრის აბონემენტების მქონეთა საყურადღებოდ, რომ 4 იანვრიდან დაიწყო აბონემენტის მე-4 შემოსატანის მიღება, რომელიც გაგრძელდება 7 იანვრის დღის 2 საათამდე. აბონენტი, რომელსაც დაფარული არ ექნება მე-4 შემოსატანი, პიესა „ღალატზე" არ დაიშვება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მითითების საფუძველზე
1940 წ. 16 აგვისტოს თარიღით № 014—15

საქ. სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ც. ს. რესპუბლიკური სადეზინფექციო რაზმი ყველა თავისი დანაყოფებით (სადეზინფექციო ოცეულებითა და ათეულებით) გადაეცა სსრ კავშირის ჯანსახკომის სისტემას სახელწოდებით

„სსრ კავშირის ჯანსახკომის დერატიზაციისა და პროფილაქტიკური დეზინფექციის განყოფილება",

ხოლო მისი დანაყოფები ადგილებზე:

„ჯანსახკომის დერატიზაციისა და პროფილაქტიკური დეზინფექციის რაზმი".

ყველა ხელშეკრულებანი, დადებული თავდაცვა-ავიაქიმის სადეზინფექციო რაზმისა და მისი დანაყოფების მიერ ადგილებზე სადერატიზაციო სადეზინსექციო სამუშაოების ჩატარებაზე, აგრეთვე მათ მიერ აღებული ყველა ვალდებულებანი ძალაში რჩება.

მომავალში სადერატიზაციო (ბრძოლა მღრღნელების წინააღმდეგ), სადეზინსექციო (ბრძოლა მწერების წინააღმდეგ), საანტისეპტაციო (ბრძოლა მერქნის ლპობის წინააღმდეგ) და სადეზინფექციო სამუშაოებზე ხელშეკრულების დასადებად მიმართეთ ჯანსახკომის საქართველოს რესპუბლიკურ განყოფილებას და მის დანაყოფებს ადგილებზე — დერატიზაციისა და პროფილაქტიკური დეზინფექციის რაზმებს. 1

საქართველოს თამბაქოს მრეწველობის მთავარი სამმართველოს თბილისის ქაღალდის ფაბრიკის ბალანსი 1940 წლის 1 იანვრისათვის.

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა 1939 წ. 1 იანვრისათვის	თანხა 1940 წ. 1 იანვრისათვის
1	ძირითადი საშუალებანი (შენობები, ნაგებობანი, ინსტრუმენტები, მანქანები, ინვენტარი და სხვ.)	5.353.842—75	5.238.177—71
2	ნედლეული, ძირითადი, დამხმარე მასალა, სათბობი, ტარა	363.417—15	343.010—36
3	ნახევარფაბრიკატები და დაუმთავრებელი წარმოება	39.590—15	5.296—79
4	საქონელი და მზა პროდუქცია	17.398—62	21.952—97
5	გადაგზავნილი საქონელი და შესრულებული სამუშაოები	47.919—19	108.012—56
6	სარეალიზაციოდ გამოყოფილი საგნები	—	13.395—73
7	საშუალებანი ანგარიშსწორებებში (დებიტორები)	131.172—10	45.467—14
8	ფულადი საშუალებანი (ანგარიშსწორების ანგარიში, სალარო)	96.347—01	263.367—19
9	კაპიტალურ სამუშაოთა დაფინანსება	—	20.307—98
10	მომავალი წლების ხარჯები	7.579—60	1.366—94
11	საანგარიშო წლის ზარალი	904.647—20	1.331.651—82
	ბალანსი	6.961.913—77	7.392.007—19

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა 1939 წ. 1 იანვრისათვის	თანხა 1940 წ. 1 იანვრისათვის
1	საწესდებო ფონდი	6.621.979—73	7.032.292—79
2	საამორტიზაციო ფონდი	61.167—65	18.103—28
3	დანარჩენი ფონდები	39.607—53	38.559—33
4	რეზერვები და მომავალი გადასახდელები	18.548—68	36.643—53
5	მოკლევადიანი საბანკო კრედიტები	36.600—00	53.700—00
6	ანგარიშსწორება კრედიტორებთან	184.010—18	212.708—26
	ბალანსი	6.961.913—77	7.392.007—19

1939 წლის მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები

ა. წარმოების დარგში.

1. პროდუქციის გამოშვება:
   ა) 1939 წლის საბითუმო-გასაცემ ფასებში . . . 4.037—0
   ბ) პროცენტობით გეგმის მიმართ უცვლელ ფასებში . 101.3
2. თვითღირებულება გეგმასთან შედარებით გადიდებულია 7,3
3. შრომის ნაყოფიერება პროცენტობით გეგმის მიმართ 120%
4. წარმოების ერთი მუშის საშუალო ხელფასი პროცენტობით გეგმის მიმართ . . . 110.7%

1939 წლის მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები.

6. გადახარჯვა, დანაკარგი და დაგროვება:
   ა) დანაკარგი წუნისაგან . . . —
   ბ) „ გაცდენისაგან . . . —
   გ) გადახარჯვა საამქროთა ხარჯებში . . . 19 ათ. მან.
   დ) „ საერთო-საქარხნო ხარჯებში . . . —
   ე) გადახდილი საურავი, ჯარიმა და საუპირულო . . 6,0 ათ. მან.
   ვ) მიღებული „ „ . . 3,0 „ „
   ზ) ნედლეულის, მასალის, სათბობისა და პროდუქტების ნაკლები საწყობებში . . . 31,0 „ „

ბ. კაპიტალური მშენებლობის დარგში:

1. კაპიტ. დაბანდებათა გეგმა შესრულებულია . . . 85 %
2. შესრულებულია სამუშაოები:
   ა) სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით . . . 204 ათ. მან.
   ბ) ფაქტიური ღირებულებით . . . 200 „ „
3. გადაცემულია საექსპლოატაციოდ ფაქტიური ღირებულებით . . . 237,2 „ „

დირექტორი კორძაია. მთავარი ბუხჰალტერი ბახიშვილი.

ანგარიში დამტკიცებულია საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახ. კომისრის მიერ 1940 წ. 16 თებერვალს
საქ. სსრ კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის ცენტრ. ბუხჰალტერიის უფროსი პურადაშვილი.

631

1940 წ. დეკემბერში სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა სოფ. ველისციხის (გურჯაანის რაიონი) მცხოვრები **ერვანდ ივანეს-ძე მარტაშვილი**, 10 წლისა, აცვია ლურჯი შარვალ-ბლუზა, შავგვრემანია, მარცხენა ლოყაზე ამჩნევია ჭრილობა. მნახველს ვთხოვთ გვაცნობოს: ლენინის, 19, ლვინის სარდაფი, გიორგი სეხნიაშვილი. 10061

დაკარგულია საქ. ადგ. მრეწ. სახ. კომისარიატის რაიონული მრეწველობის კუთხის შტამპი ჩ. ფ. 9698

დაკარგულია არტელ „ფარქოშის" სახელმწიფო რეგისტრაციის ამონაწერი, გაცემული 1939 წ. 29/VIII თარიღით — რეესტრი № 225 — თბილისის საბჭოს საფინანსო განყოფილების მიერ. 9680

მეუღლე სოფიო დით ელენით, შვილები მიხა, სტეფანე, ნიკო, ბესარიონ ცოლშვილით, ქალიშვილები ქსენია, ფატმან ქმარშვილით იუწყებიან **ივანე კუჭუს-ძე ჯანჯღავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/I ხ. ჯოლევში (ვეჯებრის რ.). 10102

მეუღლე ალექსანდრა (გუგუცა), შვილებით ნოდარით, ნორათი იუწყებიან **ისაკი ანტონის-ძე ჩიქოვანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8/I 6 ს. გამოსვენება 9/I 5 ს. ჩიტაძის, 9, ვაკის სასაფლაოზე. 10108

ძმები ქეთო, თინა, შვილიშვილები თამარ, რობერტ, გურამ, ნუნუ გვაზავები, ქალიშვილი ანიკა, სიძე ისიდორე შვილებით ეთერით, ვენერათი, ლენათი ბახტაძეები იუწყებიან **ნიფადორა (ნიფა) გვაზავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8/I 6 ს. დაკრძალვა ქ. წულუკიძეში 9/I 6 ს. 10104

ცოლი ფატი, შვილები კალიკო, ოლია, ვერა, ბოჩია, ანტიგონე და ნაზი, სიძე გიორგი, რძალი კატუშა იუწყებიან **პლატონ სიმონის-ძე გუგუნავას** გარდაცვალებას, დაკრძალვა პალაღოძეში 8/I, ახალდასახლება, 24. 10112

მეუღლე აგრაფინა, შვილები ეთერა, ვახტანგ იუწყებიან **ლუკა სტეფანეს-ძე ბერსამიას** გარდაცვალებას, დაკრძალვა ს. ახუთში. 10100

ცოლი პელაგია, შვილები ციცუკა და ნელი იუწყებიან **დავით (ფუხული) კირილეს-ძე დადიანის** გარდაცვალებას. 10110

ბიცოლა სატია, დედა კალენკა, ბებია დარიკო, ბაბუა მიხეილ, ძმები უშანგი, გივი, და ლალა იუწყებიან **ჟულიეტა ივანეს-ასულ ბორდაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7/I ს. კუხში (წულუკიძის რ.). 10106

მეუღლე ივანე, შვილი ეთერ კანდელაკები იუწყებიან **ნინო სამსონის-ასულ საყვარელიძე-კანდელაკის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8/I 7 ს. გამოსვენება 9/I 6 ს. ორჯონიკიძის, 7. 10097

ქალაქის I საავადმყოფოს ექიმები მ. დიდებულიძე, ე. ნემსაძე, მ. კიკვიძე, მ. ჯანდიერი, ვ. მუბლაძე, ქ. მოდებაძე, თ. იაშვილი, შ. გუგეშაშვილი იუწყებიან **ექიმ მარსელა ზარსევანიშვილის** გარდაცვალებას. 10091

მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ამავე ფაბრიკის დირექტორს გ. ა. რიაზანცევს მისი მეუღლის **მარსელას** გარდაცვალების გამო. 10076

ელენე და სოფოკლი ხომტარიები იუწყებიან **ლუკა სტეფანეს-ძე ბერსამიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ახუთში. 10096

შვილები პისტი, ლიდა, თამარ, სიძეები ტიტიკო სოსელია, ისიდორე ჩხიკვაძე, მიშა ქორიაშვილი შვილებით იუწყებიან **გიორგი ნიკოლოზის-ძე ვასაძის** გარდაცვალებას, დაკრძალვა 7/I ასკანაში (მახარაძის რ.). 10098

ექიმი ვლადიმერ კლდიაშვილი მეუღლით ვერათი, შვილებით კოლიათი, მუსიათი თანაგრძნობას უცხადებს თამარ და მიშა ქორიაშვილებს მათი მამის **გიორგი ნიკოლოზის-ძე ვასაძის** გარდაცვალების გამო. 10099

რაზილი, სანათა ჩოხელაშვილები იუწყებიან გაზრდილის, მე-8 შრომის სკოლის მე-7 კლასის მოწაფის **დავით (დათო) ილიას-ძე ტუქსიშვილის** გარდაცვალებას. 10107

ალავიძე, ნ. გაბუნია, ბალიაშვილი, ყიფიანი, ბერეჟიანი, ჯავახიძე, მორხოველი, ჩიჩუა, ბურძგლა, ბუაჩიძე, კეჟერელიძე, ელენტი, ავალიშვილი, ა. ჯანელიძე იუწყებიან უახლოესი ამხანაგის ინჟინერ **კოკი ჭეიშვილის** გარდაცვალებას. 10101

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის — 3—80—84, წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგისა და გამომშვების 3—81—65. გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28

1

უე 8803